საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია მომგებიანია საქართველოსთვის, მაგრამ მას მაინც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ამის გასარკვევად საკმარისი არაა საგარეო ვაჭრობის შედეგების განხილვა მხოლოდ მთლიანი ერისათვის. ჩვენს ქვეყანაში საგარეო ვაჭრობა უშუალოდ ეხება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფთა ინტერესებს.

სავაჭრო ურთიერთობათა ლიბერალიზაციის ბევრ მოწინააღმდეგეს კარგად აქვს წარმოდგენილი მისი შედეგები. იმისათვის რომ, საგარეო ვაჭრობის თეორია გადაიქცეს გადაწყვეტილებათა მიღების ქმედით ინსტრუმენტად, საჭიროა გაირკვეს, ვისი ინტერესები ილახება თავისუფალი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გატარების შედეგად.

საგარეო ვაჭრობა ზეგავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის შემოსავლების განაწილებაზე მოსახლეობის იმ ჯგუფებს შორის, რომლებიც ცალკეულ საწარმოო ფაქტორთა მესაკუთრეები არიან. მაგალითად, მიწათმფლობელები, კაპიტალისტები, მენეჯერები, ფერმერები, კვალიფიცირებული მუშეები და ა. შ. საერთაშორისო ვაჭრობა, როგორც წესი, საზოგადოებას ყოფს ორ ნაწილად: ვინც იღებს და ვინც ზარალობს საგარეო ვაჭრობის ზეგავლენის შედეგად. საქონელზე შეფარდებით ფასთა ცვლილება იწვევს ერთი რომელიმე საწარმოო ფაქტორის გაძვირებას, სხვების გაიაფების ხარჯზე.

საკვანძო სიტყვები: შემოსავლების განაწილების საგარეო ეფექტი, მზარდი სექტორი, საწარმო ფაქტორთა მფლობელი, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, შეფარდებით ფასთა ცვლილება

Abstract

Introduction. Foreign income distribution effect in Georgia is different for different social groups. Liberalization of foreign trade will further grow rich already rich part of the society: wholesalers, businessmen, large entrepreneurs, investors, banks, insurance companies and economically active subjects that while the foreign trade further impoverishes the already poor layer of the society, who do not have the financial, physical or mental ability to be actively involved in the trading process, and they are unemployed or employed in other firms.

The purpose of statistic study is to determine the effect of our country's foreign trade policy pursued by the government of Georgia income distribution between certain groups of population.

Research methods. To achieve this goal have been used in research work possessing process has been used methods of dialectical materialism, historical, logical analysis and synthesis.

Georgia's liberal foreign trade policy will result in an even more vulnerable layers of society gets more pure. For example, if there is high tariff on shoe and clothing import, but nevertheless, the producers still have low incomes, while their customers – are rich, then, a liberal foreign trade towards the fashionable pursuit of these trade barriers are even more serious financial problems for shoes and clothes local entrepreneurs and will bring slight economy to already wealthy customers of these commodities. This will further increase unequal distribution of revenue. Therefore, foreign trade excessive liberalization is unprofitable for local entrepreneurs.

Keywords: Foreign income distribution effects, a growing sector, enterprise factors owner, trade liberalization, the relative price changes.

შესავალი

საქართველოში შემოსავლების განაწილების საგარეო ეფექტი განსხვავებულია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისათვის. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია კიდევ უფრო ამძღვრებს საზოგადოების ისედაც მდიდარ ნაწილს: ბითუმად მოვაჭრეებს, ბიზნესმენებს, მსხვილ მეწარმეებს, ინვესტორებს, ბანკებს, სადაზღვევო კომპანიებს და ეკონომიკურად აქტიურ სხვა სუბიექტებს ეს მაშინ როცა საგარეო ვაჭრობა კიდევ უფრო აღარბებს საზოგადოების ისედაც ღარიბ ფენებს, რომელთაც არა აქვთ ფინანსური, ფიზიკური ან გონებრივი შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს სავაჭრო პროცესებში და ისინი უმუშევარი არიან.

სტატიის კვლევის მიზანია ის, რომ დადგინდეს თუ რა გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებული საგარეო სავაჭრო პოლიტიკა საქართველოს მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის შემოსავლების განაწილებაზე

კვლევის მეთოდები. ნაშრომის დამუშავების პროცესში გამოყენებულია კვლევის დიალექტიკური მატერიალიზმის, ისტორიული, ლოგიკური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი.

საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია მომგებიანია საქართველოსთვის, მაგრამ მას მაინც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ამის გასარკვევად საკმარისი არაა საგარეო ვაჭრობის შედეგების განხილვა მხოლოდ მთლიანი ერისათვის. ჩვენს ქვეყანაში საგარეო ვაჭრობა უშუალოდ ეხება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფთა ინტერესებს. სავაჭრო ურთიერთობათა ლიბერალიზაციის ბევრ მოწინააღმდეგეს კარგად აქვს წარმოდგენილი მისი შედეგები. იმისათვის რომ, საგარეო ვაჭრობის თეორია გადაიქცეს გადაწყვეტილებათა მიღების ქმედით ინსტრუმენტად, საჭიროა გაირკვეს, ვისი ინტერესები ილახება თავისუფალი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გატარების შედეგად. საგარეო ვაჭრობა ზეგავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის შემოსავლების განაწილებაზე მოსახლეობის იმ ჯგუფებს შორის, რომლებიც ცალკეულ საწარმოო ფაქტორთა მესაკუთრეები არიან. მაგ, მიწათმფლობელები, კაპიტალისტები, მენეჯერები, ფერმერები და ა.შ. საერთაშორისო ვაჭრობა საზოგადოებას ყოფს ორ ნაწილად: 1. ვინც იკებს და 2. ვინც ზარალობს საგარეო ვაჭრობის გავლენის შედეგად. საქონელზე შეფარდებით ფასთა ცვლილება იწვევს ერთი რომელიმე საწარმოო ფაქტორის გაძვირებას, სხვა ფაქტორების გაიაფების ხარჯზე.

საქართველოში საგარეო ვაჭრობის გავლენა პროდუქციის წარმოების მოცულობასა და საწარმოო ფაქტორთა ფასებზე დროის ხანმოკლე ასპექტში სრულიად განსხვავებულია დროის ხანგრძლივ პერიოდში მის მიერ პროდუქციის წარმოების მოცულობასა და საწარმოო

ფაქტორთა ფასებზე მოხდენილ ზეგავლენასთან შედარებით. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში იწვევს ფასთა დონეების სულ უფრო დაახლოებას. სწორედ ფასთა შორის სხვაობის შენარჩუნება ასტიმულირებს ვაჭრებს, იმოქმედონ ისე რომ, ეს სხვაობა გაქრეს. საგარეო ვაჭრობის დამყარებამდე ჩვენს ქვეყანაში იაფი იყო ის პროდუქცია, რომელიც მზადდებოდა ჭარბი საწარმოო ფაქტორებით და პირიქით. საგარეო ვაჭრობის გახსნის შემდეგ მოთხოვნა გაიზარდა იაფ პროდუქციაზე და იგი შემცირდა ძვირ პროდუქციაზე.

ცალკეულ საქონელზე დაწესებულ ახალ ფასებზე რეაგირებენ მწარმოებლებიც. ისინი რესურსების გარკვეულ რაოდენობას გადაისვრიან გაიაფებული პროდუქციის წარმოებიდან გაძვირებული პროდუქციის წარმოებაში. წარმოების სტრუქტურულმა ცვლილებამ გამოიწვია წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნის სტრუქტურული ცვლილებაც. მზარდ სექტორში საჭირო გახდა დამატებითი საწარმოო ფაქტორების მოზიდვა, რომლებიც, თავის მხრივ, გამოთავისუფლდნენ კლებადი სექტორებიდან. წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნის ცვლილების შედეგი დროის ხანმოკლე და ხანგრძლივ პერიოდში განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

დროის ხანმოკლე პერიოდში, როდესაც წარმოების ფაქტორები ჯერ კიდევ დაკავებული იყო ძველ საწარმოო პროცესებში, წარმოების ფაქტორთა ბაზრები გამოსული იყო წონასწორობიდან. მათ, ვინც ფლობდნენ მზარდი მოთხოვნის მქონე საწარმოო ფაქტორებს, ბუნებრივია, მოიგეს, ხოლო კლებადი მოთხოვნის მქონე საწარმოო ფაქტორთა მფლობელები კი – დაზარალდნენ. დროის ხანმოკლე პერიოდში მზარდ სექტორში გამოყენებულ საწარმოო ფაქტორებზე მოთხოვნა, და შესაბამისად ფასები მკვეთრად გაიზარდა, ხოლო კლებად სექტორში კი – პირიქით, დაეცა. ამრიგად, დროის ხანმოკლე ინტერვალში საქართველოში საგარეო ვაჭრობიდან მოგების ან ზარალის მიღება განისაზღვრა ამა თუ იმ სექტორზე მათი მიკუთვნებადობის მიხედვით. მოიგო მზარდ სექტორში მოქმედ ფაქტორთა მფლობელებმა, ხოლო დაზარალდა კლებადი საწარმოო სექტორში გამოყენებულ ფაქტორთა მფლობელები.

წარმოების ფაქტორებზე დაწესებულ ფასთა რეაქცია გრძელვადიან ასპექტში სრულიად განსხვავებულია დროის ხანმოკლე ასპექტთან შედარებით. მხოლოდ მოგვიანებით შეეჩვევიან წარმოების ერთი და იგივე ფაქტორთა მფლობელები ვითარების შეცვლას. საქართველოში დაბალანაზღაურებადი კლებადი სექტორებიდან საწარმოო ფაქტორებმა გადაინაცვლეს მაღალანაზღაურებად მზარდ სექტორებში. ასე, რომ ხანგრძლივ პერიოდში ყველა (როგორც მზარდ, ისე კლებად) სექტორში ერთიდაიგივე საწარმოო ფაქტორის ანაზღაურება საბოლოოდ

გათანბრდა. ბუნებრივია ისმის ასეთი კითხვა: თუ საწარმოო ფაქტორები პასუხობენ იმ სექტორებში გადანაწილებას, სადაც ანაზღაურება მათზე მაღალია, მაშინ ხომ არ დაუბრუნდება მათი ფასები საგარეო ვაჭრობის დამყარებამდე არსებულ დონეს? უნდა ითქვას, რომ „არ დაუბრუნდება“. მზარდ სექტორში გამოყენებულ საწარმოო ფაქტორთა კომბინაცია არაფრით არ შეესაბამება კლებად სექტორში გამოყენებულ საწარმოო ფაქტორთა კომბინაციას.

მიღებული დასკვნები გამომდინარეობს წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნის უთანასწორო ცვლილებით. თუ მზარდი სექტორი ზოგიერთ ფაქტორს საჭიროებს ჭარბი რაოდენობით, სხვებს კი - ნაკლებად, კლებად სექტორში ამ საწარმოო ფაქტორთა გამოყენების ინტენსიურობა სრულიად სხვაგვარია, ან უფრო მეტიც, შეიძლება - საპირისპიროც. შესაბამისად წარმოების იმ ფაქტორთა მოცულობა, რომელიც საჭიროა მზარდ სექტორში წარმოების გასაფართოებლად, ვერაფრით ვერ შეესაბამება იმ საწარმოო ფაქტორთა მოცულობას, რაც გამოთავისუფლდა კლებად სექტორში, ვიდრე არ მოხდება ფასთა კორექტირება; ჩვენს ქვეყანაში წარმოების ფაქტორებზე ახალ ფასთა ცვლილება ხორციელდება ეროვნულ ბაზარზე, საგარეო ვაჭრობის ზეგავლენის წყალობით, არსებულ საწარმოო ფაქტორებზე ახლად შექმნილი (განახლებული) მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისად. ყველა სექტორში ადრინდელთან შედარებით მაღალი ანაზღაურება დაწესდა იმ ფაქტორებზე, რომლებზედაც განახლებული მოთხოვნა მკვეთრად აჭარბებს ვაჭრობამდე არსებულ მოთხოვნის ძველ დონეს, ხოლო განახლებული მიწოდება კი ჩამორჩება ძველს, და პირიქით. საშუალოდ ყველა სექტორში დაწესდა ძველთან შედარებით დაბალი ფასები იმ ფაქტორებზე, რომლებზეც განახლებული მოთხოვნა ჩამორჩება ვაჭრობამდე არსებულს, ხოლო მათი მიწოდება კი მეტია მათ საჭიროებაზე.

თუმცა ყველა სექტორში ერთი და იგივე საწარმოო ფაქტორთა ფასები გათანაბრდა, მაგრამ ისინი არ დაუბრუნდა ფასთა ძველ დონეს, არამედ შედარებით უფრო მაღალი დონის წონასწორული ფასები დაწესდა იმ ფაქტორებზე, რომლებზეც განახლებული მოთხოვნა ბევრად აჭარბებდა განახლებულ ერთობლივ მიწოდებას ყველა სექტორში, ვიდრე იყო ძველი ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა. ხოლო ფასთა შედარებით უფრო დაბალი წონასწორული დონე დაწესდა იმ ფაქტორებზე, რომლებზეც განახლებული ერთობლივი მოთხოვნა ბევრად უფრო მეტად ჩამორჩა განახლებულ ერთობლივ მიწოდებას ყველა სექტორში, ვიდრე ძველი მოთხოვნა - ძველ ერთობლივ მიწოდებას, რომელიც იყო საგარეო ვაჭრობის დამყარებამდე. ამდენად, დროის ხანგრძლივ პერიოდში საწარმოო ფაქტორებზე ფასთა ცვლილების ტენ-

დენციამ საპირისპირო სახე მიიღო ხანმოკლე პერიოდთან შედარებით.

ამრიგად, საგარეო ვაჭრობამ საქართველოში გამოიწვია მოსახლეობის ერთი ნაწილის გამდიდრება და მეორის დაღარიბება. სტატისტიკა მოწმობს, რომ განვითარებული სამრეწველო ქვეყნების საწარმოო რესურსებით უზრუნველყოფის სტრუქტურა თანდათანობით თანაბრდება. ეს იმას ნიშნავს რომ, ჰექშერ-ოლინის თეორია, რომელიც წარმოების ფაქტორების შეფარდებით უზრუნველყოფაში ქვეყნებს შორის არსებული განსხვავების გათვალისწინებაზეა აგებული, თანდათან დაძველდა. გარდა ამისა, საერთაშორისო ვაჭრობის სიმძიმის ცენტრმა ნელ-ნელა გადაინაცვლა ერთნაირად მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებს შორის „მსგავსი“ საქონლით ვაჭრობაზე და არა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული საქონლით ვაჭრობისაკენ, როგორც ამას ჰექშერ-ოლინის თეორია მიიჩნევდა საჭიროდ [1. გვ.75].

ჰექშერ-ოლინის თეორიის პრაქტიკასთან შედარებისა და მისი ამხსნელუნარიანობის ანალიზი იძლევა შემდეგი სამი დასკვნის გაკეთების საშუალებას: 1. სხვადასხვა სახის საქონლის წარმოებაში ფაქტორები სხვადასხვაგვარი კომბინაციით გამოიყენება; 2. წარმოების ფაქტორებით ქვეყნების შეფარდებითი უზრუნველყოფა ერთნაირი არ არის; 3. ქვეყნები ცდილობენ იმ საქონლისა და მომსახურების გატანას, რომლის წარმოებაშიც ინტენსიურად გამოიყენება ჭარბი ფაქტორები და პირიქით, შემოაქვთ ის საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოებაშიც ინტენსიურად გამოიყენება დეფიციტური ფაქტორები [2. გვ. - 45].

სტოლპერმა და სამუელსონმა დაამტკიცეს, რომ მიღებული შედეგები არაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახის საქონელი მოიხმარება საზოგადოების მიერ მათი პირადი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით. ეს დასკვნა ეწინააღმდეგება მანამდე მოღვაწე ეკონომისტთა შეხედულებებს, იმის შესახებ, რომ თუ შემცირებული ხელფასის მქონე მომხმარებლები თავიანთ შემოსავლებს დახარჯავენ მხოლოდ გაიაფებული საწარმოო ფაქტორებით დამზადებულ საქონელთა შექენაზე, მაშინ ამით თითქოს მათი ეკონომიკური მდგომარეობა არათუ გაუარესდებოდა, არამედ შეიძლება გაუმჯობესდებოდა კიდევ. სტოლპერმა და სამუელსონმა აჩვენეს, რომ ეს ასე არ არის. ამას ადასტურებს როლანდ ჯონსონის თეორია, რომელიც ცნობილია „გაძლიერების ეფექტის“ სახელწოდებით. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: „საქონელზე ფასთა 10 %-იანი ზრდა იწვევს მის წარმოებაში ინტენსიურად გამოყენებულ საწარმოო ფაქტორთა ღირებულების კიდევ უფრო (10 %-ზე მეტად) ზრდას და პირიქით.“

ამრიგად, წარმოების ფაქტორთა ღირებულებებს შორის არსებულ თანაფარდობათა ცვლი-

ლება გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მათგან წარმოებულ საქონელზე დაწესებულ ფასთა თანაფარდობაში მომხდარი ცვლილება. აქედან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა: რაც უფრო მეტი ფაქტორი დასპეციალიზდება ექსპორტის წარმოებაში, მით უფრო მოიგებს ჩვენი ქვეყანა საგარეო ვაჭრობიდან და პირიქით, რაც უფრო მეტი ფაქტორი კონცენტრირდება იმპორტთან კონკურენციაში მყოფ დარგებში, მით უფრო დაზარალებული იქნება ვარაუდით საკმაოდ საფუძვლიანია. რაც უფრო დიდხანს დარჩება საწარმოო ფაქტორი საექსპორტო დარგში სპეციალიზირებული, მით უფრო მეტად მოიგებს ამ ფაქტორის მფლობელები ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად, ხოლო რაც უფრო დიდხანს დარჩება ფაქტორი იმპორტზემცველ დარგში ორიენტირებული, მით უფრო მოიგებს ამ ფაქტორთა მფლობელები საქართველოს საგარეო ვაჭრობის შეზღუდვის შედეგად.

ფაქტორს, რომელიც მხოლოდ ერთ წარმოებაში გამოიყენება, მუდმივ ხვედრით წილს დაიჭერს ამ საქონლის სარეალიზაციო ფასში. ჩვენი ქვეყნისთვის ამის კარგი მაგალითია ფერმერის მიწა, რომელიც სხვა პროდუქციის საწარმოებლად ვერ გამოიყენება. მაგრამ აქ შედეგი განსხვავებულია დროის ხანმოკლე და ხანგრძლივ პერიოდში. დროის გრძელვადიან ასპექტში მიწა შეიძლება ერთი პროდუქციის წარმოებიდან გადაინაცვლოს მეორის წარმოებაში. საერთაშორისო გაცვლის წყალობით, „ჭარბი საწარმოო ფაქტორებით გაჯერებული“ საქონელი ექსპორტირდება უცხოეთში „დეფიციტური ფაქტორებით გაჯერებული“ საქონელზე გაცვლის მიზნით. წარმოების ყოველი ფაქტორი (საქონელში განთავსებული) თავად გადაადგილება იმ ქვეყანაში, რომელიც საგარეო ვაჭრობის დამყარებამდე განიცდიდა მის დეფიციტს.

ერთიდაიგივე კვალიფიკაციის მუშახელი სხვადასხვა ქვეყანაში ერთსადაიმეცე სამუშაოს შესრულებაზე იღებს შრომის სრულიად განსხვავებულ ანაზღაურებას და მათ ხელფასებს შორის არსებული სხვაობა დროთა განმავლობაში კიდევ უფრო იზრდება. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი ქვეყნიდან უცხოეთში სამუშაო ძალის მასობრივი ემიგრაცია. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად, წარმოების მზარდი სექტორები საქართველოს მოეწოდინა საექსპორტო დარგებად, ხოლო კლებადი სექტორები კი იმპორტზემცველადი პროდუქციის მწარმოებელ დარგებად. შესაბამისად მზარდ (საექსპორტო) სექტორში გამოყენებულ ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოო ფაქტორთა შემოსავლები გაიზარდა, ხოლო კლებად (იმპორტთან კონკურენციაში მყოფ) სექტორში გამოყენებულ იმპორტზემცველადი საწარმოო ფაქტორთა შემოსავლები კი შემცირდა. ამიტომ, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციით დაინტე-

რესებულნი არიან ჩვენი ქვეყნის ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოო ფაქტორები, ხოლო საგარეო ვაჭრობის შეზღუდვისათვის კი იბრძვიან იმპორტზემცველადი საწარმოო ფაქტორთა მფლობელები, რადგანაც საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციით ისინი ზარალდებიან.

საგარეო ვაჭრობის გავლენა მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე მარტო წარმოების ფაქტორთა სპეციალიზაციის დონესა და მიმართულებაზე არ არის დამოკიდებული, არამედ იგი დაკავშირებულია ასევე ამ ფაქტორების მფლობელთა მიერ შესყიდული საქონლისა და მომსახურების მოხმარების სტრუქტურასთანაც. ეს იმით არის გამოწვეული, რომ გარდა საექსპორტო და იმპორტზემცველადი დარგებში გამოყენებული საწარმო ფაქტორებისა, ეკონომიკაში არსებობს ე. წ. „შუალედურ“ ფაქტორთა მთელი მასა, რომლებიც არ არიან სპეციალიზირებულნი, არც საექსპორტო და არც იმპორტზემცველადი დარგებში. წარმოების ასეთ „შუალედურ“ ფაქტორებზე საგარეო ვაჭრობის მიერ მოხდენილი ზეგავლენა დამოკიდებულია, არა მიწოდების პირობებზე, არამედ ამ ე. წ. „შუალედურ“ ფაქტორთა მფლობელების მიერ საქონლისა და მომსახურების მოხმარების სტრუქტურაზე, კერძოდ იმაზე, თავიანთი მოხმარების სტრუქტურაში რომელი პროდუქციის – საექსპორტო, თუ საიმპორტო საქონლის შექმნაზე ხარჯავენ ისინი თავიანთი შემოსავლების უდიდეს ნაწილს.

თუ წარმოების ფაქტორთა მფლობელები თავიანთ შემოსავლებს ძირითადად ხარჯავენ იმპორტული პროდუქციის შექმნაზე, მაშინ ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობის ლიბერალიზაცია მათთვის მომგებიანია და პირიქით, თუ მათი შემოსავლების დიდი ნაწილი იხარჯება საექსპორტო საქონლის შექმნაზე, მაშინ მათთვის საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია წამგებიანია.

ამდენად, წარმოების „შუალედურ“ ფაქტორთა მფლობელების პოზიცია მიწოდების მხრიდან გაურკვეველია და დამოკიდებულია მათ მიერ საქონლისა და მომსახურების მოხმარების სტრუქტურაზე. რამდენადაც, ადგილობრივი პროდუქციის უცხოეთში ექსპორტი იმდენად ვერ ზრდის მის ეროვნულ ფასს (ჩაკეტილ ეკონომიკაში მასზე არსებულ ფასებთან შედარებით), ვიდრე იმპორტული პროდუქცია უფრო მეტად ამცირებს იმპორტზემცველადი პროდუქციის ფასს (ჩაკეტილ ეკონომიკაში მასზე არსებულ ფასებთან შედარებით). ამიტომ მიგვაჩნია რომ, საქართველოში „შუალედურ“ საწარმოო ფაქტორთა მფლობელები, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციით უნდა იყვნენ დაინტერესებული [4. გვ. – 43].

ამრიგად, საქართველოს მიერ განხორციელებული ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკის შედეგად კიდევ უფრო ლატაკდება საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენა.

მაგ., თუ ფეხსაცმლის და ტანსაცმლის იმპორტზე მაღალი ტარიფია დაწესებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ მწარმოებლებს მაინც დაბალი შემოსავლები აქვთ, ხოლო მათი მომხმარებელი კი – მდიდარია, მაშინ, ლიბერალური საგარეო ვაჭრობისაკენ მოდური სწრაფვის მიზნით, ამ სავაჭრო შეზღუდვების მოხსნა კიდევ უფრო გააღატაკებს ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ადგილობრივ მწარმოებლებს და უმნიშვნელო ეკონომიას გაუკეთებს ამ საქონელთა ისედაც მდიდარ მომხმარებელს. ეს კი შემოსავლების უთანასწოროდ გადანაწილებას კიდევ უფრო გააღატაკებს. ამიტომ, საგარეო ვაჭრობის ზედმეტი ლიბერალიზაცია საქართველოს ადგილობრივი მწარმოებლებისათვის წამგებიანია.

დასკვნა

ამრიგად, სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ამტკიცებს იმას, რომ სახელმწიფოთა ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საგარეო ვაჭრობის არა ჩაკეტვა, არამედ მისი მიზნობრივი, სახელმწიფო ინტერესების მიხედვით რეგულირება, მაგრამ თუ გადავხედავთ საქართველოს მიერ პრაქტიკაში გატარებულ საგარეო პოლიტიკას დავინახავთ, რომ იგი ზედმეტად არის ლიბერალიზებული. საქართველოს საგარეო პოლიტიკა საგრძნობლად იხრება „ფულის ტოლფასოვნების“ კრიტერიუმიდან სხვა ნორმატივებზე. საგარეო სავაჭრო პოლიტიკის პრაქტიკაში რეალიზაციისას ჩვენი ქვეყნის სამთავრობო გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თეორიული საგარეო პოლიტიკის ცვლილებაზე, მისი ზედმეტად ლიბერალიზაციის კუთხით.

კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები გამოიხატება საქართველოს შე-

მოსავლების გადანაწილებაში საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტების არაეფექტურად გამოყენების დასაბუთებაში. ნაშრომის კვლევის შედეგად მიღებული თეორიული და მეთოდოლოგიური შედეგები გამოადგებათ შემოსავლების გადანაწილებით დაინტერესებულ მეცნიერ-მუშაკებს, ხოლო კვლევის პრაქტიკული შედეგები კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს საგადასახადო ორგანოების, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მუშაკებისა და ჩვენი ქვეყნის საზოგადოების სხვადასხვა ფენის მიერ.

რეკომენდაციები. ამრიგად, საქართველოს ეკონომიკაში შემოსავლების გადანაწილებაზე უდიდეს გავლენას ახდენს შესაბამის სახელმწიფო უწყებათა მიერ საგარეო პოლიტიკის ბერკეტების სწორად წარმართვა, რაც მოითხოვს შემდეგ ღონისძიებათა გატარებას:

1. ჩვენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღებისქმედით ინსტრუმენტად გადაქცევისათვის, საჭიროა გაირკვეს ვისი ინტერესი ილახება ვაჭრობის ლიბერალიზაციით;

2. საჭიროა დადგინდეს თუ რა გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა ცალკეულ ჯგუფებს შორის შემოსავლების განაწილებაზე;

3. რაც უფრო მეტი ფაქტორი დასაძვინჯებელია ექსპორტის წარმოებაში, მით უფრო მოიგებს ჩვენი ქვეყანა საგარეო ვაჭრობიდან და პირიქით;

4. რაც უფრო დიდხანს დარჩება საწარმოო ფაქტორი საექსპორტო დარგში მით უფრო მოიგებს ამ ფაქტორის მფლობელები ჩვენი ქვეყნის ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად;

5. საქართველოში „შუალედურ“ საწარმოო

ლიტერატურა

1. ლინდერტი პ. ჰ. საერთაშორისო ეკონომიკა. გამომცემლობა „სიახლე“ თბილისი 2009 წ. გვ. 365;
2. ქათამაძე დ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2008 წ. გვ-400
3. Международные экономические отношения. Учебник. \Под ред. Б. М. Смитиенко. Москва. Изд. «ИНФРА—М». 2005 г. 514—с.
4. www.GeoStat.Ge. სტატისტიკის ეროვნული სამსახური-საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.

REFERENCES

1. P. H. Lindert International Economics. publishing house “News” Tbilisi, 2009. pg.. 365;
2. D. Katamadze. International economic relations. the publishing house “Batumi University”, Batumi, 2008 წ. pg-400;
3. International economic relations. Textbook. \ Edited by B. M. Smitienko. Moscow. publishing house “INFRA-M”, 2005, pg.-514.
4. National Statistics Office Supplies of Georgia -The Ministry of Foreign Economic Relations

თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ტენდენციები საქართველოში

MODERN TRADE POLICY DEVELOPMENT TRENDS IN GEORGIA

დავით ქათამაძე

DAVID KATAMADZE

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

Doctor of Economics, Associate Professor
Batumi Shota Rustaveli State University

ანოტაცია

სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ჩატარებული ნებისმიერი თეორიული გამოკვლევა ამტკიცებს იმას, რომ სახელმწიფოთა ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივ საწარმოთა არასატარიფო ბარიერებით დაცვა, მაგრამ თუ გადავხედავთ თანამედროვე ქვეყნების მთავრობის მიერ პრაქტიკაში გატარებულ სავაჭრო პოლიტიკას დავინახავთ, რომ იგი საკმაოდ „გადახრილია“ ობიექტური საბაზრო პროცესებისაგან. სხვადასხვა სახის სავაჭრო შეზღუდვებით – საიმპორტო ბაჟებით, კვოტებით, ლიცენზიებითა და სხვა არასატარიფო ბარიერებით. საქართველოს მიერ პრაქტიკაში გატარებული სავაჭრო პოლიტიკა იხრება თეორიულად დასაბუთებული ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკისაკენ. ეს იმით არის განპირობებული, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო მოხელეებს არც კი აქვთ გააზრებული, თუ რა შედეგი მოაქვს სავაჭრო ბარიერთა დემონტაჟს.

სავაჭრო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების დროს საქართველოს მთავრობა ეყრდნობა არა თეორიულად დაშვებულ „ფულის ტოლფასოვნების კრიტერიუმს“, არამედ „მომავალ არჩევნებში გამარჯვების შანსის მაქსიმიზაციის კრიტერიუმს“. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ანალიზის დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს სახელმწიფო მოღვაწეებზე და არა საზოგადოებრივ აზრზე, რადგანაც საარჩევნო უბნებზე მისული ამომრჩეველები ირჩევენ სახელმწიფო მოხელეებს, და არა სავაჭრო პოლიტიკის ვარიანტებს. თუ სავაჭრო პოლიტიკის რომელიმე სხვა მიმართულების მიმდევრები უარყოფენ თეორიულ ანალიზში გამოყენებულ წინაპირობებს, მაშინ მათ უნდა წამოაყენონ უპირატესობის მინიჭების საკუთარი სისტემა, ახსნან, თუ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებისას, რატომ უნდა ასრულებდეს ერთი ჯგუფის ინტერესები უფრო დიდ როლს, ვიდრე სხვა ჯგუფთა ინტერესები.

საკვანძო სიტყვები: ლობიზმი, სახელმწიფო მოხელე, სავაჭრო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, „ფულის ტოლფასოვნების“ კრიტერიუმი, „მომავალ არჩევნებში გამარჯვების შანსის მაქსიმიზაციის“ კრიტერიუმი.

Abstract

Introduction. The trade policy of any theoretical study shows that the economic growth pace accelerates not locking of foreign trade, but its full liberalization. But if you look at the country's foreign trade policy implemented by the government in practice we see that it is quite "laden" a different kind of trade restrictions - import taxes, quotas, licenses and other forms of non-tariff barriers. The foregoing thesis main research aims is to determine why the theory goes beyond scientific research to practical reality? Did outdated trade policies on modern scientific theoretical analysis carried out by the economists?

Research methods: In order to achieve the work in process of development has been used to study dialectical materialism, historical, logical, analysis and synthesis methods. Practiced trade policy often tends to be theoretically grounded liberal trade policy in the direction of tightening trade restrictions in Georgia. when developing Georgian foreign trade policies, the government is not based on a reasonable theory "money equivalentive criteria" maximizing the chance of winning the next election criterion". If any of the trade policies of other followers reject this approach, then they need to lay their own preference system, explain the political decision-making, Why should one group's interests have more significant role than the others.

Keywords: Lobbyism, state employees, decisions about trade politics, "money equivalentive criteria", "maximizing the chance of winning the next election" criterion.

შესავალი. სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ჩატარებული ნებისმიერი თეორიული კვლევა ამტკიცებს იმას, რომ სახელმწიფოთა ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო-ებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რეგულირება, მაგრამ თუ გადავხედავთ თანამედროვე ქვეყნების მთავრობის მიერ პრაქტიკაში გატარებულ სავაჭრო პოლიტიკას დავინახავთ, რომ იგი საკმაოდ „გადახრილია“ ობიექტური საბაზრო პროცესებისაგან სხვადასხვა სახის სავაჭრო შეზღუდვებით: საიმპორტო ბაჟებით, კოტებით, ღირებულებითა და სხვა არასატარიფო ბარიერებით [1. გვ.,165].

კვლევის მიზანი. ნაშრომის კვლევის მიზანია დადგინდეს თუ რატომ სცილდება თეორიულად ჩატარებული კვლევები პრაქტიკულ რეალობას? ხომ არ მოძველდა სავაჭრო პოლიტიკის შესახებ თანამედროვე ეკონომისტთა მიერ ჩატარებული თეორიული ანალიზი?

კვლევის მეთოდები. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნა სავაჭრო პოლიტიკის შესახებ თეორიული ანალიზის საქართველოს პოლიტიკურ რეალობასთან სინთეზის, ჩვენი ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკაზე დაკვირვების, შედარების, ანალიზის გატარების მეთოდები.

კვლევის ამოცანა. სტატიის კვლევის ამოცანაა ვაჩვენოთ, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის სწრაფი განვითარების ერთადერთი გზაა არა ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკის (რაც ადვილად გასატარებელია იმპორტიორი კომპანიების ლობირების ზეგავლენის შედეგად), არამედ ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მარეგულირებელი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის პრაქტიკაში გატარება (რაც საკმაოდ რთულად გასატარებელი დონისძიებაა უცხოური, იმპორტიორი კომპანიების ლობიზმის პირობებში, მაგრამ ადგილობრივ ფირმებს ჩააყენებს ჯანსაღი კონკურენციის რეჟიმში).

კვლევის ორიგინალობა. ნაშრომის კვლევა ორიგინალურია იმ თვალსაზრისით, რომ მასში გამოვლენილია სავაჭრო პოლიტიკის შესახებ თეორიული კვლევის შედეგების პრაქტიკისაგან გადახრის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო მოხელეთა მიერ თეორიულად დასაბუთებული მიდგომების, რჩევების პრაქტიკაში რეალიზაციას.

ავტორის წვლილი ამ სფეროში გამოიხატება იმ პრობლემების დანახვაში, რაც ხელს უშლის საქართველოში სავაჭრო პოლიტიკის წარმართვის ბერკეტების დროულ გამოყენებას.

საქართველოს მიერ პრაქტიკაში გატარებული სავაჭრო პოლიტიკა ხშირად იხრება თეორიულად დასაბუთებული ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკისაგან მისი გაუაზრებელი, ქაოსური, იმპორტიორ კომპანიებზე მორგებული

სავაჭრო პოლიტიკისაკენ. ეს იმით არის განპირობებული, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო მოხელეებს არც კი აქვთ გააზრებული, თუ რა შედეგი მოაქვს საქართველოსათვის სავაჭრო ბარიერთა დემონტაჟს. შესაძლოა ჩვენი ქვეყნის ექსპორტიორებმა არც კი იცოდნენ, რომ საიმპორტო ბარიერთა ზედმეტად დაქვეითება სავალუტო კურსებში მომხდარ ცვლილებათა გამო. ზოგჯერ მომხმარებელსაც, და თვით იმპორტ შემცველ დარგებსაც არ შეუძლიათ იმის გაცნობიერება, რომ მათი დანაკარგების მიზეზი არის სავაჭრო ბარიერების დემონტაჟი. საქართველოს მოსახლეობის ყოველი ჯგუფი „საქმეში ჩახედული“ და კარგად ორგანიზებული რომ იყოს, საგარეო ვაჭრობის სფეროში ამაყად მოქმედი ბევრი საბაჟო ტარიფი არასატარიფო ბარიერით შეიცვლებოდა.

მეცნიერ-ეკონომისტებმა დიდი ძალისხმევა შეაღიეს საჯარო მოხელეთა ქცევის მოდელირებას. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ანალიზის დროს აქცენტი უნდა გააკეთდეს სახელმწიფო მოღვაწეებზე და არა საზოგადოებრივ აზრზე, რადგანაც საარჩევნო უბნებზე მისული ამომრჩევლები ირჩევენ სახელმწიფო მოხელეებს, და არა სავაჭრო პოლიტიკის ვარიანტებს. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო მოხელეები კი შემდგომში აშუშავენ სავაჭრო პოლიტიკის ამა თუ იმ ვარიანტს. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკას ქმნიან და წარმართავენ არჩეული კანონმდებლები, პრემიერ-მინისტრი ან მის მიერ დანიშნული მინისტრთა საბჭოს წევრები. ამდენად, საგარეო სავაჭრო პოლიტიკის პრაქტიკაში რეალიზაციისას ჩვენი ქვეყნის სათავრობო გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ თეორიულად გამართლებული სავაჭრო პოლიტიკის ცვლილებაზე, მისი რეგულაციის დონის ამაღლების კუთხით.

სავაჭრო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების დროს საქართველოს მთავრობა ეყრდნობა არა თეორიულად დაშვებულ „ფულის ტოლფასოვნების კრიტერიუმს“, არამედ „მომავალ არჩევნებში გამარჯვების შანსის მაქსიმიზაციის კრიტერიუმს“. პირდაპირი გაგებით ეს ქმნის ბიუროკრატიულ მთავრობას, რომლის წევრებიც მხოლოდ თავიანთ განდიდებაზე, ძალაუფლების, შემოსავლების მოპოვებაზე უნდა ზრუნავდნენ და თანამდებობის შესანარჩუნებლად არაფრის წინაშე უკან არ უნდა იხევდნენ, მაგრამ ხელახალ არჩევნებში გამარჯვების შანსის მაქსიმიზაცია ამას არ გულისხმობს. სინამდვილეში საქართველოს მთავრობის თანამდებობის პირები ეროვნულ ინტერესთა საკუთარი ხედვით განხორციელებისათვის იბრძვიან, მაგრამ ამ თანამდებობაზე ხანგრძლივი მუშაობის პროცესში ისინი გაცილებით უფრო მეტ პრობლემას აწყდებიან, ვიდრე წარმოუდგენიათ პოლიტიკური სარბიელის დასაწყისში. ისინი ცდილობენ დაიკავონ ისეთი პოზიცია, რომელიც

უზრუნველყოფს ამომრჩეველთა მიერ მათი კანდიდატურის მხარდაჭერას. ასე რომ სავაჭრო პოლიტიკის სფეროში ჩვენი ქვეყნის საჯარო მოხელეთა მოქმედების მიზანი ამომრჩეველთა ხმების მაქსიმიზაციაა.

საქართველოს სახელმწიფო მოხელეთა მიზნებს შორის განსხვავება დიდი არ არის. როგორც ბიუროკრატიულ საჯარო მოხელეთა და მათი მთლიანი აპარატის მიერ ეკონომიკის მართვის გამოკვლევებმა ცხადყო, სახელმწიფო მოხელეებისათვის დამახასიათებელია თავიანთი დაწესებულების როლის ხელშეწყობის მაქსიმიზაცია, შტატების გაბერვა და მათ მიერ გადასატრეული პრობლემების მნიშვნელობის საზოგადოებაში. ცხადია, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო მოხელეთა მოქმედების მიზნები განსხვავდება მთელი საზოგადოებისათვის მოგების მაქსიმიზაციის თეორიულად დასაბუთებული იდეისაგან. ეს განსხვავება იმითაა გამოწვეული, რომ არჩევნებში (ანუ სავაჭრო პოლიტიკის ფორმირების დროს) ყოველი ამომრჩეველის ინტერესი კი არ გაითვალისწინება, არამედ ადამიანთა იმ ყველაზე უფრო კარგად ორგანიზებული და მობილიზებული მცირე ჯგუფისა, რომელმაც გაიმარჯვა სახელისუფლებო არჩევნებში.

ამდენად, ჩვენს ქვეყანაში შემუშავებული საარჩევნო სისტემა ვერ იქნება პრაქტიკაში სრულიად დემოკრატიული, რადგანაც ირდევია პრინციპი – „ერთი ადამიანი ერთი ხმის უფლებით“. არჩეული თანამდებობის პირი სარგებლობს არა ერთი ხმის, არამედ იმდენი ხმის უფლებით, რამდენმა ამომრჩეველმაც დაუჭირა მას მხარი არჩევნებში. ამიტომ, ხელახალი არჩევის შანსის მაქსიმიზაცია სულაც არ მოითხოვს იმ ამომრჩეველთა ხმების რაოდენობის მაქსიმიზაციას, რომლებიც არ ემსახურებიან მათ ინტერესებს. საქართველოს სინამდვილეში არჩევნების დროს, რომ დაცულიყო დემოკრატიულობის პრინციპი – „ერთი ადამიანი ერთი ხმის უფლებით“, მაშინ სავაჭრო ვაჭრობის ეროვნულ, სახელმწიფოებრივ ინტერესებზე დაფუძნებული რეგულაციის პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში ბევრად უფრო ფართო გაფრცელებას ჰპოვებდა, ვიდრე არის დღეს, რეალურ ვითარებაში. თუმცა საქართველოს სავაჭრო სავაჭრო პოლიტიკა ემსახურება მხოლოდ იმპორტიორ რეზიდენტთა მცირე ჯგუფის ინტერესებს, მაგრამ არჩევნებში უცხოური კორპორაციების წარმომადგენლობის ლობიზში მაინც იმარჯვებს, იმიტომ რომ, დიდა ამ მცირერიცხოვან ჯგუფთა ორგანიზებისა და მოტივაციის დონე.

როგორც ჩანს, მომავალ არჩევნებში გამარჯვების შანსის მაქსიმიზაციის იდეა შორსაა სავაჭრო პოლიტიკის თეორიული მოთხოვნებისა და დემოკრატიულობის პრინციპებისაგან. ხელახალ არჩევნებში გამარჯვებისათვის ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ყოველ პრობლემას ისე სვამს, რომ იგი თითქოს სასიცოცხლო მნიშვნელობისაა

მისი ამომრჩეველისათვის. სავაჭრო ვაჭრობის საკითხები ამომრჩეველთა ფართო მასისათვის მეორეხარისხოვანია. ამიტომ, იგი რჩება უმცირესობათა კონტროლის ქვეშ. ამდენად, სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოს რეალობაშიც ამომრჩეველები კანდიდატებს ირჩევენ და არა კანონპროექტებს. ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ კი ეს „კანდიდატები“ საპარლამენტო კომიტეტებში ამუშავებენ და პარლამენტის სხდომებზე ამტკიცებენ ისეთ კანონპროექტებს, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის არა მთლიანი მასის, არამედ არჩევნებში მათ მხარდამჭერთა მცირე ჯგუფის ინტერესებს. ეს იწვევს ისეთი სავაჭრო კანონპროექტების მიღებას, რომელიც ემსახურება იმპორტიორთა მცირე ჯგუფის ინტერესებს. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ჩვენი ქვეყნის რეალობაში სპეციალიზაცია ვაჭრობაში უფრო ღრმავდება, ვიდრე წარმოებაში [5. გვ., 25].

საიმპორტო ბაჟის დაქვეითება უფრო საგრძნობია იმპორტიორებისთვის, ვიდრე ადგილობრივი კომპანიებისათვის, რადგანაც იმპორტული პროდუქციის გაიაფებით, იგი უშუალო ზეგავლენას ახდენს იმპორტთან კონკურენციაში მყოფი დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ვარდნაზე, ეს მაშინ, როცა იგი უმნიშვნელოდ ზრდის ამ პროდუქციის მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობას. იმპორტიორ კომპანიებში დასაქმებული მუშები უფრო ორგანიზებულია, ვიდრე მოსახლეობა, რადგანაც მომხმარებელს არ გააჩნია იმდენი დრო ან ენერჯია, რომ იბრძოლოს ასეთ პრობლემათა დასაძლევად. იმპორტიორი ფირმებისათვის კი მათი საქმიანობის შემზღუდავი ბაჟის დაქვეითება სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა. ამიტომ იმპორტიორები ქმნიან ძლიერ ლობს და გააქვთ მათთვის სასურველი კანონპროექტები.

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ, ზოგადად, საქართველოს სავაჭრო სავაჭრო პოლიტიკის შესახებ გამართულ დებატებზე უმთავრესად განიხილება, არა იმპორტ შემცველ, არამედ იმპორტიორი კომპანიების ინტერესთა დაცვის საკითხები, რომელიც ზარალს აყენებს იმპორტთან კონკურენციაში მყოფ დარგებს. იმპორტიორებს კი ეს კარგად აქვთ გააზრებული. ჩვენი ქვეყნის კანონმდებლებმა იციან, რომ იმპორტიორი კომპანიების ინტერესების დაცვით კარგავენ იმათ ხმებს, ვინც დასაქმებულია იმპორტ შემცველ დარგებში [2. გვ., 222].

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის გადახრა იმპორტიორთა სასარგებლოდ დიდადაა დამოკიდებული მათი მფარველი ლობის დაფინანსებაზე. საზოგადოების დიდი მასის ლობირება ძალზე რთულია იმიტომ, რომ მოსახლეობა მეტად დაქსაქსულია და რთულდება მისი თითოეული წევრის „ბრძოლაში“ მონაწილეობის მიღება და მისი დაჯერება ლობის გამარჯვებაში.

ამიტომ ჩვენი ქვეყნის საზოგადოების დიდი მასის თითოეული წევრი მოუცვლელობის ან სხვა მიზეზით თავს არიდებს ასეთ საერთო საქმეში ჩართვას და თვლის, რომ „საქმე“ მის გარეშეც იოლად გავა. როცა მოსახლეობის დიდი მასის თითოეული წევრი თავს არიდებს დროისა და ფულის ხარჯვას საქართველოს ხელისუფლებაში მათი ინტერესების დამცველი გუნდის მოსვლისათვის პოლიტიკურ ბრძოლაში, ამით „საერთო საქმეც“ წაგებულა. ამის საპირისპიროდ, ჩვენს ქვეყანაში მოქმედი მცირე, მაგრამ კონცენტრირებული და მოტივირებული იმპორტიორი კომპანიების ჯგუფი ადვილად ქმნის ძლიერ ლობს, რადგანაც კომპანიებში დასაქმებულმა თითოეულმა მუშაკმა კარგად იცის, რომ მისი წილი წონადია „საერთო ხმაში“ და არ ზოგავს დროს, ფულს და ენერჯიას ამ „სავაჭრო ბრძოლაში“ წარმატების მისაღწევად.

ამდენად საქართველოს ხელისუფლებაში მოსული სამთავრობო გუნდი მომავალ არჩევნებში გამარჯვების შანსის მაქსიმალისათვის, უფრო მომგებიანს თვლის მცირე ჯგუფების მხარდაჭერას. სწორედ ამიტომ ისინი ემხრობიან იმპორტიორ კომპანიებს, თუმცა ის წამგებიანია მთლიანი ქვეყნისათვის. მთავრობის სწრაფვა იმპორტიორი კომპანიების დაცვისაკენ მით უფრო ძლიერი იქნება, რაც უფრო დაქსაქსულია ადგილობრივი ფირმები. ამრიგად, საქართველოს სავაჭრო პოლიტიკაზე ჯგუფური ინტერესების ზეგავლენა აისახება სავაჭრო ბარიერების სტრუქტურაში და მის სავაჭრო პარტნიორებთან წარმოებული მოლაპარაკებების მიხედვით დადგენილ შემდეგ წესებში:

1. საბაჟო ტარიფი ბევრად უფრო მაღალია იმ საქონელთა იმპორტზე, რომელსაც მომხმარებელი იძენს პირადი მოხმარებისათვის, ვიდრე შუალედური პროდუქტების (ნახევარფაბრიკატების) იმპორტზე, რომელსაც ფირმები მოიხმარენ, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს მომხმარებელთა მიერ ძლიერი ლობისტური ჯგუფის შექმნის უუნარობას, ეს მაშინ, როცა ვითარება სრულიად იცვლება, როცა პროდუქციას იძენენ ფირმები, რომლებიც არანაკლებ ლობისტურ ძალას ფლობენ, ვიდრე მომხმარებლები;

2. საქართველოს ეტაპობრივად უნდა მოეხდინა სავაჭრო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, სავაჭრო შეზღუდვების თანდათანობითი გაუქმების გზით. მაგალითად, ჯერ უნდა მოეხდინა საბაჟო ტარიფების დაქვეითება, პარალელურად არასატარიფო ბარიერების ჩანაცვლების გზით. ბოლო დროს ფართო გავრცელება ჰპოვა სავაჭრო ბარიერთა დემონტაჟის კიდევ ერთმა ახალმა სახემ - „დაბალანსებულ დათმობათა წესების“ სახელწოდებით, რომლის თანახმად ერთი მოვაჭრე მხარე ამცირებს საიმპორტო ტარიფს და ამით აძლევს ზრდის საშუალებას იმპორტს, ანუ პარტნიორი ქვეყნის ექსპორტს, მხოლოდ იმ პირობით,

თუ ისიც გაატარებს ანალოგიურ ღონისძიებას ამ ქვეყნის პროდუქციის თავის საზღვრებში იმპორტის გაზრდის მიზნით, ანუ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ერთმანეთის პროდუქციის შემოტანაზე საიმპორტო ბარიერების ერთდროულად დაქვეითებას.

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის შესახებ წარმოებული თეორიული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ჩვენი ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკის ფორმირების დროს შეინიშნება გარკვეული კანონზომიერება. კერძოდ, ეკონომიკის წარმმართველი, სტრატეგიული დარგების შერჩევა ხდება მათი დაცვის ღონის ცვლილების მიხედვით. სავაჭრო პოლიტიკის გატარების შედეგების მიხედვით, შეიძლება შემუშავდეს შემდეგი ხუთი სავაჭრო სტრატეგია:

1. „იმპორტისაგან ზარალის“ თეორია, რომლის თანახმადაც პროტექციონიზმი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მეტი ზარალი მოაქვს იმპორტს სამამულო დარგისათვის. ამ დროს მით უფრო აქტიურად იბრძვიან იმპორტ შემცველ დარგთა მწარმოებლები და მუშები იმპორტის წინააღმდეგ მათ მიერ შექმნილი ლობისტური ძალების დასარაზმავად. ასეთ დაზარალებულ დარგებს საზოგადოება განსაკუთრებით თანაუგრძობს, მაშინ თუ მასში დასაქმებულია მოხუცები და არაკვალიფიცირებული მუშები, რომელთა ახალ სამუშაო ადგილზე მოწყობა ძნელია. ამრიგად, დარგი, რომელიც, იმპორტის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება და რომელსაც მდგომარეობის გამოსწორების პერსპექტივაც არა აქვს, მით უფრო თავგანწირვით იბრძვის იმპორტისაგან თავის დასაცავად და ხშირად აღწევს კიდევ წარმატებას. „იმპორტისაგან ზარალის“ თეორია იმასაც ვარაუდობს, რომ საზოგადოება პროტექციონიზმს მაინც დაუჭერს მხარს, თუ დაზარალებულ დარგებში დასაქმებულ მუშებს არა აქვთ სხვა დარგებში მობილურად გადასვლის უნარი (მაგ., მოხუცები, აგრარული დარგის მუშაკები და ა.შ.). ამ თეორიის თანახმად, იმპორტისაგან დაცვის დონე მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტია კონკურირებადი იმპორტის წილი და დარგის შრომატევადობა. დარგის დაცვის ნომინალური დონე უკუკავშირშია საშუალო ხელფასის დონესთან და წარმოების ზრდის ტემპებთან. ამრიგად, „იმპორტისაგან ზარალის“ თეორიის პრაქტიკაში დანერგვა აშკარა შეუწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში იმპორტ შემცველ დარგთა განვითარება-გაძლიერებას.

2. „საერთო ინტერესებით გაერთიანებული ჯგუფის“ თეორია, რომლის თანახმადაც მწარმოებელთა მიერ ლობისტური ორგანიზაციის ჩამოყალიბების მასტიმულირებელ ფაქტორებს მიჰყავართ პროტექციონისტული პოლიტიკის გაძლიერებამდე. რაც უფრო მაღალია წარმოების ზრდის ტემპი, მით უფრო დაბალია მისი პროტე-

ქციონისტული დაცვის დონე. დარგი იმ შემთხვევაში ვითარდება სწრაფად, თუ მას არ ემუქრება იმპორტისაგან კონკურენცია და არ სწევს მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებს მფარველი ღობისტური ორგანიზაციის შენახვისათვის. დარგს პოლიტიკურ ბრძოლაში დიდი წონა ექნება, თუ მაღალია მისი წარმოების კონცენტრაციის დონე. რაც უფრო მეტი ფირმა თავმოყრილი დარგში და რაც უფრო გეოგრაფიულად გავრცობილი არიან ეს ფირმები, მით უფრო ცუდად იქნებიან ისინი დაცული იმპორტისაგან. რაც უფრო მაღალია დარგში შუალედური პროდუქციის წილი და ნაკლებია მზა ნაწარმის მოცულობა, მით უფრო ნაკლებადაა დარგი დაცული იმპორტისაგან, რადგან დარგის პროდუქციის მყიდველები ისევ ფირმები არიან, რომლებიც ქმნიან ღობისტურ ძალებს პროტექციონიზმის წინააღმდეგ. დარგები, რომელთაც ინვესტიციები აქვთ უცხოეთში სუსტად არიან დაცული საპასუხო ზომების გატარების საფრთხის არსებობის გამო [1. გვ., 172];

3. „ამომრჩეველთა ხმების დათვლის“ თეორია, რომლის თანახმადაც, რაც უფრო მეტი მუშაკია დარგში დასაქმებული, მით უფრო საიმედოადაა დარგი დაცული იმპორტისაგან. ამავე დროს ივარაუდება, რომ არსებობს ერთგვარი ურთიერთკავშირი დარგის გეოგრაფიულ კონცენტრაციასა და პროტექციონიზმს შორის. რაც უფრო მაღალია დარგის გეოგრაფიული კონცენტრაციის დონე, მით უფრო ნაკლები ამომრჩეველი იღებს ყურად დარგის მოწოდებას – საბაჟო ბარიერების შემოღების შესახებ. ეს მტკიცება ეწინააღმდეგება წინა - „ჯგუფურ“ თეორიას. პრაქტიკამ აჩვენა დარგის გეოგრაფიული კონცენტრაციის გავლენა დარგის დაცვაზე;

4. „შუალედური ვაჭრობის“ თეორია, რომლის თანახმადაც იმპორტის მოძალებით შეწუხებული დარგებისათვის უმჯობესი იქნება, თუ უცხოელ კონკურენტს არა ექნება მძლავრი პოლიტიკური დასაყრდენი იმპორტიორ ქვეყანაში, რომელიც ზეგავლენას მოახდენდა ჩვენი ქვეყნის მიერ გატარებული საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებაზე. ამ თეორიის თანახმად, იმპორტისაგან ადგილობრივ დარგთა დაცვის დონეს უარყოფითი კავშირი აქვს საქართველოდან ექსპორტის მოცულობის წილთან, რადგან ჩვენი ქვეყნის ღობისტური ძალები იმპორტიორ ქვეყანაში უფრო მცირეა, ვიდრე ძლიერი ქვეყნების ღობისტი საქართველოში.

5. „სტატუს-კვოს“ თეორია, რომლის თანახმადაც ღობისტი მოითხოვს დიდ დანახარჯებს, რასაც მეწარმეები დიდი ხალისით არ ხვდებიან. ამიტომ ხშირად დარგის დაცვის ისტორიულად ჩამოყალიბებული დონე განაპირობებს მისი დაცვის ამჟამინდელ მდგომარეობასაც. ეს კი იძლევა მოცემული დარგის განვითარების პროგნოზირების საშუალებასაც.

სავაჭრო პოლიტიკის სფეროში აქ განხილული კანონზომიერებანი საშუალებას იძლევა აიხსნას საქართველოში იმპორტირებული პროდუქციით საგარეო ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენები. საქართველოში საიმპორტო ბაჟების დაქვეითება შეიძლება აიხსნას „იმპორტისაგან ზარალის“ თეორიით, ხოლო იმპორტიორთა ფენის დაცვის ტენდენციის გაძლიერება ახსნას პოულობს „საერთო ინტერესებით გაერთიანებული ჯგუფის“ თეორიაში.

იმავედროულად, შესაძლებელია მოხდეს საქართველოს თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკის ისტორიული ასპექტის თანამედროვე ინტერპრეტაცია. იმის ცოდნა, რომ ღობისტი დიდ როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ფორმირებაში, საშუალებას იძლევა უფრო ფართო სპექტრში განხილულ იქნეს სავაჭრო ბარიერების ისტორია. ისტორიულად სხვადასხვა საქონელზე დაწესებული ბაჟები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ზოგიერთი საქონლის იმპორტი იბეგრებოდა შედარებით დაბალი საიმპორტო ბაჟით, ზოგიერთზე კი შემოდებული იყო შედარებით უფრო მაღალი საიმპორტო ტარიფი. სავაჭრო პოლიტიკისადმი მსგავსი მიდგომა საშუალებას იძლევა აღმოჩენილ იქნეს XXI საუკუნის სავაჭრო პოლიტიკის კანონზომიერებანი, რომლებმაც შეიძლება მომავალშიც იჩინოს თავი:

1. როდესაც ექსპორტით დაინტერესებულ ჯგუფებს ღობისტური ორგანიზაცია აქვთ ფორმირებული, მაშინ სახელმწიფო პოლიტიკა ორიენტირებულია თავისუფალ ვაჭრობაზე;

2. საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა თავისუფალ ვაჭრობაზეა ორიენტირებული, რადგანაც ბევრი სახეობის იმპორტული პროდუქცია ან ადგილზე არ იწარმოება, ბუნებრივი თუ შექმნილი უპირატესობის არარსებობის გამო, ან იმპორტის გარკვეული ნაწილი ჩვენი ქვეყნის დარგებისათვის ნედლეულად გამოიყენება. თუ იმპორტი კონკურენციაში არაა ადგილობრივ წარმოებასთან (მაგ., ბანანი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ავტომობილი და ა. შ.), მაშინ ლოგიკურია რომ ქვეყნის ხელისუფლება საჭიროდ თვლის იმპორტული პროდუქცია მყიდველს მიეწოდოს რაც შეიძლება იაფად. პროტექციონიზმი რაღაც საჭიროა იქ, სადაც დასაცავი არაფერია. იმავედროულად ის საჭიროა, რომელიც მნიშვნელოვანი ნედლეულია ადგილობრივი დარგებისათვის, ჩვეულებრივ თავისუფლდება ბაჟებისაგან (თუმცა შეიძლება იყოს გამონაკლისიც). მსხვილ მყიდველ დარგთა დაინტერესება ნედლეულის უბაჟო იმპორტით ეწინააღმდეგება ამ ნედლეულის ადგილობრივ მიწოდებელთა მიერ მის იმპორტზე უფრო მაღალი საბაჟო ტარიფების დაწესებასთან დაკავშირებულ ინტერესებს [1. გვ., 175].

3. ეკონომიკური დეპრესია და კონკურირებადი იმპორტის სწრაფი ზრდა ხელს უწყობს

პროტექციონიზმის წარმოქმნასა და გაძლიერებას. როცა წარმოება ეცემა, ბაზარს თავს ატყდება იაფი, მზა იმპორტული პროდუქციის ტალღა, რაც პანიკას იწვევს მეწარმეთა შორის. ასე მოხდა 1930-იანი წლების დეპრესიის დროს, 1874-75 წლებშიც, როცა ქვეყნების სავაჭრო ბალანსი გაუარესდა. მსოფლიოში თუ შეიქმნება ასეთი ვითარება, მაშინ საქართველოს მთავრობა, ადგილობრივ დარგთა დაცვის მიზნით უნდა შემობრუნდეს პროტექციონიზმისკენ.

ძნელი არ არის წარმოების დაქვეითებას, იმპორტის ზრდასა და პროტექციონიზმს შორის კავშირის ახსნა. მაგალითად, საქართველოში როდესაც უმუშევრობა ისედაც მაღალია, ხოლო იმპორტის ზრდა კი იწვევს სამუშაო ადგილების კიდევ უფრო შემცირებას იმპორტ შემცველ დარგებში, ასეთ პირობებში პროტექციონიზმი დასაქმებისა და შემოსავლების დაცვისაკენ მიმართული ბუნებრივი რეაქციაა. ეს რეაქცია ეკონომიკურად შეიძლება დასაბუთდეს სტრუქტურული ხარჯების მაღალი დონით. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პროტექციონიზმი სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების დაცვის ყველაზე საიმედო ხერხია, მაგრამ დროის ხანმოკლე პერიოდში იგი შეიძლება ბევრად უფრო სასარგებლო აღმოჩნდეს, ვიდრე პასიური პოზიციის შენარჩუნება ან სავაჭრო პოლიტიკის სხვა რომელიმე ინსტრუმენტის გამოყენება. ბუნებრივია საქართველოსათვის უმჯობესი იქნება იმ სავაჭრო პოლიტიკის გატარება, რომელიც მოემსახურებოდა ეკონომიკაში სრული დასაქმების მიღწევის მიზანს. სავაჭრო ბარიერების დემონტაჟის პირობებში, რასაც ადგილი აქვს საქართველოში, ასეთი სრულყოფილი სავაჭრო პოლიტიკა ჯერ კიდევ არაა კომპლექსურად შემუშავებული.

ამიტომ საჭირო არის საქართველოსათვის განისაზღვროს თუ რა პოლიტიკური როლი შეიძლება გააჩნდეს ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის თეორიულ ანალიზს. როგორც პოლიტიკურ მოღვაწეთა ქცევის თანამედროვე თეორიები, ისე პრაქტიკული რეალობა გვიჩვენებს, საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა საგრძნობლად იხრება „ფულის ტოლფასოვნების“ კრიტერიუმიდან, სხვა ნორმატივებზე. პოლიტიკურ რეალობას ხშირად მიყვავვართ საბაჟო ტარიფების საჭიროზე უფრო მეტ დემონტაჟამდე, ვიდრე იგი შეიძლება გამართლებული ყოფილიყო საერთო ეკონომიკური კეთილდღეობის მაქსიმიზაციისაკენ მიმართული სწრაფვით. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვეულებრივმა თეორიულმა ეკონომიკურმა ანალიზმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა. სავაჭრო პოლიტიკის შემსწავლელი ეკონომისტები კარგად აცნობიერებენ, თუ როგორ მოქმედებს ლობისტური სისტემა. ისინი სავაჭრო პოლიტიკის ეკონომიკურ ანალიზს კვლავ განაგრძობენ, არა თავიანთი გულუბრყვილობით, არამედ იმიტომ

რომ, იგი გზას უხსნის ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკური კავშირების გაცნობიერებას [1. გვ., 175].

თუ სავაჭრო პოლიტიკის რომელიმე სხვა მიმართულების მიმდევრები უარყოფენ ჩვენს თეორიულ ანალიზში გამოყენებულ წინაპირობებს – „ფულის ტოლფასოვნების“ კრიტერიუმს, მაშინ: 1. მათ უნდა წამოაყენონ უპირატესობის მინიჭების საკუთარი სისტემა; 2. ახსნან, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებისას, რატომ უნდა ასრულებდეს ერთი ჯგუფის ინტერესები უფრო დიდ როლს, ვიდრე სხვა ჯგუფთა; 3. ახსნან თუ რატომ აირჩიეს მოცემული ჯგუფის კეთილდღეობის დაცვის მათთვის მიზანშეწონილი გზა (რითაც ილახება სხვა ჯგუფთა ინტერესები) და არა სავაჭრო პოლიტიკის სხვა რომელიმე გზა. სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ჩვენს მიერ წარმართულ ეკონომიკურ თეორიას, ამ კუთხით, გადამწყვეტი როლი შეაქვს საზოგადოების მიერ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შემუშავებაში.

დასკვნა.

ამრიგად, სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ამტკიცებს იმას, რომ სახელმწიფოთა ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საგარეო ვაჭრობის არა ჩაკეტვა, არამედ მისი მიზნობრივი, სახელმწიფო ინტერესების მიხედვით რეგულირება, მაგრამ თუ გადავხედავთ საქართველოს მიერ პრაქტიკაში გატარებულ სავაჭრო პოლიტიკას დავინახავთ, რომ იგი ხედმეტად არის ლიბერალიზებული. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა საგრძნობლად იხრება „ფულის ტოლფასოვნების“ კრიტერიუმიდან სხვა ნორმატივებზე. საგარეო სავაჭრო პოლიტიკის პრაქტიკაში რეალიზაციისას ჩვენი ქვეყნის სამთავრობო გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თეორიული სავაჭრო პოლიტიკის ცვლილებაზე, მისი ხედმეტად ლიბერალიზაციის კუთხით.

კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები გამოიხატება საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტების არაეფექტურად გამოყენების აღიარებაში. ნაშრომის კვლევის შედეგად მიღებული თეორიული და მეთოდოლოგიური შედეგები გამოადგებათ საგარეო სავაჭრო პოლიტიკის თეორიული საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერ-მუშაკებს, მკვლევარებს, დოქტორანტებს, მაგისტრანტებსა და ბაკალავრიატის სტუდენტებს, ხოლო კვლევის პრაქტიკული შედეგები კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბიზნესმენების, მეწარმეების, ინვესტორებისა და სავაჭრო პოლიტიკის საკითხებით დაინტერესებული სხვა აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ორგანოების სახელმწიფო მოხელეების მიერ.

რეკომენდაციები. საქართველოს ეკონომიკაზე დიდი გავლენას ახდენს სავაჭრო პოლიტიკის

ბერკეტების სწორად წარმართვა, რაც მოითხოვს შემდეგ ღონისძიებათა გატარებას:

1. საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ანალიზის დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს სახელმწიფო მოღვაწეებზე და არა საზოგადოებრივ აზრზე;
2. ეკონომიკის წარმმართველი, სტრატეგიული დარგების შერჩევა უნდა მოხდეს მათი დაცვის ღონისძვლილების მიხედვით;
3. საქართველოსათვის უმჯობესი იქნება ისეთი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გატარება, რომელიც

მოემსახურებოდა ეკონომიკაში სრული დასაქმების მიღწევის მიზანს;

4. საჭირო არის საქართველოსათვის განისაზღვროს თუ რა პოლიტიკური როლი შეიძლება გააჩნდეს ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის თეორიულ ანალიზს;
5. სავაჭრო პოლიტიკის საბაზისო თეორიის გამოყენება უნდა შეძლოს საქართველოს მოსახლეობის ნებისმიერ ჯგუფს, მომხმარებელი იქნება იგი, თუ მწარმოებელი.

ლიტერატურა

1. ლინდერტი პ. ჰ. საერთაშორისო ეკონომიკა. გამომცემლობა “სიახლე” თბილისი 2009 წ. გვ. 365;
2. პირტახია თ. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური ანალიზი თანამედროვე ეტაპზე. ჟურნ. ბიზნესი და კანონმდებლობა 2010 №19-20
3. ქათამაძე დ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2008 წ. გვ., 400
4. Международные экономические отношения. Учебник. \Под ред. Б. М. Смитиенко. Москва. Изд. «ИНФРА—М». 2005 г. 514—с.
5. www.GeoStat.ge. სტატისტიკის ეროვნული სამსახური-საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.
6. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/108454>. საზღვარგარეთ ქვეყნებში საქართველოს სავაჭრო წარმომადგენლობათა შესახებ

REFERENCES

1. P. H. Lindert International Economics. publishing house “News” Tbilisi, 2009. pg.. 365;
2. Th. Pirtakhia. months. The Ministry of Foreign Trade Economic Analysis of the modern stage. Journal: “Business & Law”, 2010 №19-20);
3. D. Katamadze. International economic relations. the publishing house “Batumi University”, Batumi, 2008 წ. pg-400;
4. International economic relations. Textbook. \Edited by B. M. Smitienko. Moscow. publishing house “INFRA M”, 2005, pg.-514.
5. National Statistics Office Supplies of Georgia -The Ministry of Foreign Economic Relations
6. Trade and economic missions of foreign countries about.

აჭარის ფერმერულ მეურნეობათა სანაქსოროტო განვითარების პერსპექტივები

EXPORT DEVELOPMENT PROSPECTS OF THE ADJARA FARMING INDUSTRY

გულადი თხილაიშვილი

GULADI TKHILAISHVILI

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

Batumi Shota Rustaveli State University
PhD Student

ანოტაცია

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საქართველოს აგრარული ბაზარი გლობალური ბაზრის ფორმირების პროცესის შემადგენელი ნაწილი, რომ გახდეს, აუცილებელია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ამ პროცესთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ქვეყანათაშორისი სავაჭრო ურთიერთობების დარეგულირების სრულყოფა წარმოადგენს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რადგან იგი ითვალისწინებს ეკონომიკის გლობალიზაციისა და მასში მიმდინარე მოვლენების სწრაფ ცვალებადობას, ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების და ინტეგრაციული პროცესების გაძლიერებას.

დღეს აჭარის სოფლის მეურნეობა ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ჩნდება კითხვა, თუ რა ახალი როლი უნდა შეასრულოს სოფლის მეურნეობამ რეგიონის ეკონომიკაში. საკითხი ეხება იმას, თუ რა პოტენციალი გააჩნია აღნიშნულ სფეროს, აქვს თუ არა შეფარდებითი სავაჭრო უპირატესობები სოფლად წარმოებულ პროდუქციას და უნდა მიექცეს თუ არა მას განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივი მოთხოვნილებისა და სანაქსორო ბაზრების დასაკმაყოფილებლად. აჭარის რეგიონი მოიხმარს უფრო მეტ იმპორტირებულ კვების პროდუქციას, ვიდრე აწარმოებს. აქედან გამომდინარე გასარკვევია რა ადგილს იკავებს ეს სფერო რეგიონის დარგობრივ სტრუქტურაში, ღირს თუ არა მასზე პოლიტიკის აქცენტირება (სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგად აღიარება). აჭარის ა.რ. აგრარულ სექტორში პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის განვითარებით პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების სწორად მოწყობით, მათი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელშემწყობი გარემო პირობების შექმნითა და მათი საწარმოო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: შეფარდებითი სავაჭრო უპირატესობა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საგარეუბნო ზონა, რაციონალური გამოყენება, სატარიფო მექანიზმი, პროტექციონისტული ღონისძიება, ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია, ლიბერალიზაცია.

Abstract

Georgian agrarian market to become part of the global market at the modern era of globalization, the formation of the production is essential for the agricultural products in the process of ensuring compliance. The regulation improvements of the international trade relations are the key objective of the World Trade Organization, because it takes into account the globalization of the economy and the rapid variation of the current occasions, bilateral economic relations and strengthening of the integration process.

At present, the Ministry of the Agriculture of Adjara is facing new challenges. The question arises as to what the new role to play in the region's agricultural economy? The issue of concern remains the potential in this scope, whether the comparative advantages of trade and production in rural areas should be given special devotion to local needs and whether it meet the needs of export markets. Adjara region consumes more imported food products than it produces. Hence we need to observe what place it takes in the sectoral structure of the region, whether is it worth to focus on agriculture priority recognition policies or not. The Adjara AR agricultural sector in the production and export development problem possible exists only by properly arranging the organizational and legal forms of agricultural enterprises, their entrepreneurship and establishment of favorable conditions for the effective use of their productive potential.

Keywords: Comparative trade advantage, legal forms of organization, Suburban zone, rational usage, tariff appliances, protectionist measures, internationalization of the economy, liberalization.

შესავალი

აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების თანამედროვე პირობებში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების თავისებურებების, ტენდენციების კანონზომიერებათა გამოკვლევას, სასურსათო და სამრეწველო პოტენციალის ამოქმედების რეალური ფაქტორების თეორიულ-მეთოდოლოგიურ შესწავლას, ეკონომიკური რესურსების ეფექტურობას.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია აჭარის ფერმერულ მეურნეობათა საექსპორტო განვითარების პერსპექტივების ანალიზი და ამ სფეროში მიმდინარე პროცესების სრულყოფის წინადადებების ჩამოყალიბება, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო-ს) შეთანხმებას, ამავდროულად მან მასტიმულირებელი გავლენა უნდა მოახდინოს რეგიონის აგრარული საწარმოების საექსპორტო საქმიანობაზე.

კვლევის მეთოდი. კვლევის მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნა მდგომარეობის და რეკომენდაციები, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს რეგიონის აგრო-სასურსათო პროდუქციის წარმოების საექსპორტო სტრატეგიის შესამუშავებლად, რაც ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის განვითარებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

კვლევის ამოცანა. აგრარული წარმოების პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის დინამიკისა და მასზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა, აგრარული სექტორის საექსპორტო წარმოების პოტენციალის ამოქმედების რეზერვების გამოვლენა, აგრარული დარგის ექსპორტის განვითარებაზე მასტიმულირებელი ზემოქმედების თვალსაზრისით მოქმედი სატარიფო და არასატარიფო მექანიზმების ანალიზი, აგრარული ფირმის საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობის რეგულირების მექანიზმის სრულყოფის ტენდენციების ექსტრაპოლაცია და ანალიზი.

კვლევის ორიგინალობა. ნაშრომის კვლევის ორიგინალობა მდგომარეობს იმასში, რომ პირველადი მონაცემების საფუძველზე შესწავლილია აჭარის რეგიონის ძირითადი აგრო-პროდუქციის ექსპორტიორები, მათი პრობლემები და სამოქმედო არეალი. პრობლემების გამოვლენებისა და აღმოფხვრის გზები. გამოვლენილია სავაჭრო პოლიტიკის შესახებ თეორიული კვლევის შედეგების პრაქტიკისაგან გადახრის მიზეზები.

ავტორი წვლილი. აჭარის სავაჭრო სავაჭრო პალატიდან გამოთხოვილი მასალების საფუძველზე სტატისტიკურად (რაოდენობრივად და თვისობრივად) დამუშავდა და გაანალიზდა

2014–2016 წლების აგრარული პროდუქციის ექსპორტიორი ორგანიზაციებისა თუ იურიდიული პირებთა ნუსხა. ასეთი ორგანიზაციების რაოდენობა სამწუხაროდ არ აღემატება 90 ერთეულს. აქედან ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ 26 ექსპორტიორი ორგანიზაცია. ანუ დაახლოებით რესპოდენტთა 28% იქნა გამოკითხული ინტერვიუს წესით.

ჩვენი კვლევით მიღებული იქნა შემდეგი შედეგი [2. გვ. 260-268]; [1. გვ. 10–14].

კითხვა 1: ორგანიზაციის დასახელება–26 ორგანიზაციის იურიდიული სტატუსების მიხედვით იქნა გამოკითხული. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, ინდ-მეწარმე, ფიზიკური პირი და სხვ. ორგანიზაციები არ ერიდებოდნენ გამჭვირვალედ დაეფიქსირებინათ სრული იურიდიული მონაცემები.

კითხვა 2: რომელი წლიდან ფუნქციონირებს თქვენი ორგანიზაცია? ორგანიზაციების უმრავლესობა დაარსდა: 2002 წელს - 15.4%, 2007 წელს - ფირმების 19.2% და 2014 წელს - იგივე რაოდენობით 19.2% იქნა დარეგისტრირებული. სხვა პერიოდებში შედარებით ნაკლები პროცენტით იქნა წარმოდენილი დარეგისტრირებული ფირმები.

ორგანიზაციების დარეგისტრირების და მოტივაციის ძირითადი მიზეზი როგორც განმარტეს არის სახელისუფლო პოლიტიკის შეცვლა და ახალი იმედი გაჩენა. 2007 წელს ახლად მოსული სახელისუფლო გუნდის პოპულარიზაცია იმის შესახებ, რომ ჩვენი პროდუქცია ევრო-ბაზარზე გავა და ყველაზე კონკურენტუნარიანი იქნება, განაპირობა ასეთი ინტენსივობა.

მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი 2014 წელია, როდესაც გამოცხადდა სოფლის მეურნეობის მიზნობრივი პროგრამები და პროექტები. აგრარული სესხები, კოოპერატივების შექმნა და წარმოების სატარიფო/სავადასახადო შეღავათების დაანონსებამ აჭარის რეგიონში ერთგვარი ბუმი გამოიწვია. ასევე გეხდება ორიოდ აგრო-ექსპორტიორი, რომელიც დაარსებული იყო 1993–1999 წლებში. ამ ორგანიზაციებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ საკმაოდ წარმატებით ართმევენ თავს და იმედი აქვთ უფრო განვითარების და სახელმწიფოს ხელშეწყობისა.

ასევე შევეცადეთ იმის დადგენას, თუ რამდენად ეფექტურია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის მოქმედი ფორმა, რომელ რეგიონშია წარმატებული, როგორ და რა საშუალებით იქნა მიღწეული უკეთესი შედეგები. ფერმერულ მეურნეობათა ფუნქციონირების ეფექტიანობის განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმად მიგვაჩნია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის, მეურნეობის შემოსავლის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება.

კითხვა 3: სად მდებარეობს თქვენი ორგანიზაცია?

ამ კითხვაზე 5 ალტერნატიული პასუხი იყო მომზადებული. ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი, ბათუმი და სხვა. სამწუხაროდ მაღალმთიანი რაიონები ფაქტიურად არ მონაწილეობენ აჭარის აგრარული პროდუქციის ექსპორტირების საკითხში. ძირითად ექსპორტიორებად გვევლინებიან ქობულეთი, ბათუმი და ხელვაჩაურის რაიონები. ექსპორტიორი ორგანიზაციების პროცენტული წილი კი ასე ნაწილდება:

ქობულეთი 38.5%, ბათუმი 30.8%, ხელვაჩაური 23%. საინტერესოა, თუ რამ განაპირობა ასეთი განსხვავება რაიონებს შორის. პირველ რიგში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასიური წარმოება. ქობულეთი და ხელვაჩაურის რაიონები გამოირჩევა ციტრუსის ექსპორტით, შესაბამისად შედარებით ადვილად ახერხებენ უცხოელ პარტნიორების ნახვას და საქმიანი წინადადებების შეთავაზებას. რაც შეეხება ბათუმს – განსხვავდება სხვა რაიონებისგან, ბათუმი ფაქტიურად არ აწარმოებს სასოფლო სამეურნეო პროდუქციას, ის მენეჯმენტს უკეთებს და უკავშირდება ღოგისტიკურ ცენტრებს, რის შედეგადაც ექსპორტს ახორციელებს.

ასევე, გამოიკვეთა უმნიშვნელოვანესი პრობლემა - ფერმერთა კვალიფიკაციის საკითხი. გაირკვა, რომ ფერმერთა უმრავლესობას არ გააჩნია საბაზრო პრინციპით მუშაობისათვის სათანადო ცოდნა და გამოცდილება. არ ხდებოდა მათი სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება, თუმცა 2013–2016 წლებში შედარებით უკეთესად ართმევენ თავს ვიდრე წინა პერიოდებში. ფერმერები არ იცნობდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას. არ იცნობდნენ და ვერ ერკვეოდნენ უახლეს ტექნოლოგიებში, ნაკლები წარმოდგენა ჰქონდათ მარკეტინგის, მეურნეობის მმართველობით და ორგანიზაციულ საკითხებზე. სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მთის განვითარებას და ხელშეწყობას უკვე დაწყებულია და უახლეს მომავალში გამოჩნდება მაღალმთიანი რაიონები, როგორც წარმატებული ექსპორტიორები.

ამგვარად, ფერმერული მეურნეობების უპირატეს განვითარებას, მიგვაჩნია, რომ მათი გავრცელების არეალი უნდა იყოს არა მხოლოდ დაბლობ და საგარეუბნო ზონის ტერიტორია, არამედ აჭარის მაღალმთიანი რეგიონები, მით უფრო, რომ როცა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების არსებული ორგანიზაციული ფორმების დაშლისა და ნგრევის ფონზე, მათი განვითარება საქართველოს აგრარული სექტორის კრიზისიდან გამოყვანის, მისი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცების, სასურსათო პროდუქციის სიუხვის შექმნის ამოცანათა გადაწყვეტის უკვე სასიცოცხლოდ აუცილებელ, მნიშვნელოვან

პირობად იქცა.

კითხვა 4: სოფლის მეურნეობის რომელ დარგს მიეკუთვნება თქვენი ორგანიზაცია?

ამ კითხვის მიზანია გავიგოთ, თუ რომელ დარგშია სპეციალიზირებული ესა თუ ის ფერმერი და რომელი პროდუქციის ექსპორტს ახორციელებს. შედეგებით ლოგიკურიც იყო, რომ მეციტრუსეობა არის პრიორიტეტი დარგი აჭარაში. 31.8% სწორედ მეციტრუსეობაზე მოდის, კონკრეტულად კი მანდარინის ექსპორტი, ხოლო სხვა ციტრუსოვნები ფორთოხალი და ლიმონის ექსპორტს ძალიან უმნიშვნელო პროცენტი შეადგენს. მეორე ადგილზეა დაფნის ფოთოლის ექსპორტი 18.2%. მეჩაიეობა მებაღეობა (კომბოსტო და სხვა ბაღეული) 13.6%-ია. ასევე საინტერესო მაჩვენებელია ჩაის წარმოება, ნათელია, რომ ამ დარგს ხელის შეწყობა და სტიმულირება სჭირდება, ფერმერებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ინტერესი, პრივატიზება მოახდინონ ჩაის პლანტაციების. 9.1% საკმარისი რაოდენობაა იმისთვის, რომ ბამბუკის წარმოება მნიშვნელოვან დარგად ჩაითვალოს. ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო პრიორიტეტად არ მიიჩნევა ეს ეკონომიკური მეურნეობა, რამე თუ არ ეძლევათ ფერმერებს საშუალება 3–4 ჰა ტერიტორიის პრივატიზაციისთვის, რომელიც მუდმივი სატყეო საბამბუკერესურსი გახდება, რამეთუ ზრდადი კულტურაა და ამასთანავე მაღე განახლებადი.

სოფლებში დიდია კვალიფიციური აგრონომების, ზოტექნიკოსების, ინჟინერ-მექანიზატორების და სხვა სპეციალობის კადრებზე მოთხოვნილება. ფერმერული მეურნეობის პერსპექტიულობაზე ისიც მიუთითებს, რომ მისი განვითარება, უპირველესად, მიზნად ისახავს მიგრაციული პროცესების შეჩერებას და მოსახლეობის სოფლად დამაგრებას.

ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირების საკვანძო პრობლემას წარმოადგენს მიწაზე საკუთრების, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხის მოწესრიგება, მიწაზე გადასახადის ოპტიმალური ზღვარის დადგენის სწორი კრიტერიუმის მოძებნა. ასეთ კრიტერიუმად ერთმნიშვნელოვნად მიღებულია მიწის კადასტრი, რომელიც უნდა დამუშავდეს მაღალმეცნიურულ დონეზე საყოველთაოდ მიღებული და აპრობირებული მეთოდის საფუძველზე და მიწის შეფასება უნდა მოხდეს დიფერენცირებულად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ცალკეული კატეგორიების მიხედვით, რაც გამორიცხავს სუბიექტურობას.

ამდენად, მიზანშეწონილია ფერმერული მეურნეობებისათვის სტატისტიკური ანგარიშგების სავალდებულო ფორმების ნუსხის დადგენა, მათი მაჩვენებლების დახვეწა-განმარტება. საბოლოო ჯამში, საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა ფუნქციონირებისათვის საჭიროა

ამ პროცესს შევუქმნათ მყარი საკანონმდებლო საფუძველი. ამ მიზნით, საჭიროა ჯერ ფართოდ გაიშალოს მეცნიერული გამოკვლევები ფერმერული მეურნეობების ეკონომიკისა და სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად.

კითხვა 6: თქვენი ორგანიზაციის წარმოების ძირითადი საქმიანობის სფერო.

ჩვენი ამოცანაა ფერმერული მეურნეობების ისეთი ოპტიმალური მოდელის შემუშავება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უშუალო მწარმოებელს საშუალებას მისცემს შეზღუდული რესურსების და ბაზრის კონიუნქტურით განპირობებული პროდუქციის ცვალებადი სარეალიზაციო ფასის პირობებში, აწარმოოს იმ ნომენკლატურისა და მოცულობის სასაქონლო პროდუქცია ისეთი თანაფარდობით, რომლის რეალიზაციაც და მით უმეტეს, ექსპორტს უზრუნველყოფს მაქსიმალური მოგების მიღებას. სწორედ მაქსიმალური მოგების მაჩვენებელი იქნება დასახული მიზნის ოპტიმალურობის კრიტერიუმი.

კვლევის მიზანია გავიგოთ კონკრეტულად, თუ რა საქმიანობით ფუნქციონირებს დღეისთვის არსებული ორგანიზაციები თუ კერძო მესაკუთრეები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენ ძირითადად ექსპორტზე ორიენტირებულ ორგანიზაციებზე ვართ ფოკუსირებული დავინახავთ, რომ 61.5% ნედლეულის სახით გააქვს ექსპორტზე საქონელი. რაც მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში და კონკრეტულად კი აჭარაში ძირითადი და პრიორიტეტული კულტურების უმეტესობა სწორედ, რომ ნედლეულის სახით გადის ქვეყნიდან. მზა სასაქონლო ფორმით მხოლოდ 19.2%-ია, ისიც ჩაის და ბამბუკის წარმოებისაგან მიღებული მაჩვენებელით. ხოლო 15.4% ნახევრად დამუშავებული პროდუქციის რეალიზაციას უირავს.

კითხვა 7: მთლიანი წარმოების/მომსახურების დაახლოებით რა რაოდენობის პროდუქცია გაგაქვთ ექსპორტზე და რა ნაწილით ამარაგებთ ადგილობრივ ბაზარს?

შემდეგი კითხვით გავიგოთ ექსპორტიორი ორგანიზაციები რა რაოდენობის პროდუქციას აწარმოებენ. შედეგად დგინდება, რომ ის ორგანიზაციები ან კერძო/ფიზიკური პირები, რომლებიც რაიმე სახით აგრარულ პროდუქციას აწარმოებენ (ნედლეულის სახით, ნახევრად დამუშავებული თუ სასაქონლო ფორმით) უმეტეს მათგანს დაახლოებით 70–80% გააქვს ექსპორტზე. ექსპორტიორთა 73.1% თავისი პროდუქციის 100% გააქვს ექსპორტზე.

ამ სახის ექსპორტიორები ინტერვიუს დროს აცხადებდნენ, რომ საქართველოში სათანადოდ ვერ მუშაობს ანტიდემპინგური კანონი. შესაბამისად არ არის დაცული კონკურენტუნარიანობა. რის გამოც უწევთ უცხოეთში ექსპორტირება. ადგილობრივი აგრარული ბაზარი კი გაჯერებულია დაბალხარისხიანი, ხშირ შემთხვევაში

უხარისხო პროდუქციით. მონოპოლიურ გარემოში კი მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობები ვერ ახერხებენ თავიანთი თავის რეალიზაციას. ერთის მხრივ დიდ მოცულობაზე და დაბალ ფასებზე ორიენტირებული იმპორტიორი დგას, ხოლო მეორე მხრივ ახლად დამწყები ფერმერული მეურნეობა.

რაც შეეხება სხვა მონაცემებს, ნათლად ჩანს, რომ ორგანიზაციების 7.7% თავისი პროდუქციის 80–90% გააქვს ექსპორტზე ხოლო ადგილობრივ ბაზარს ამარაგებს 10–20%-ით. რა თქმა უნდა ეს საგანგაშო ციფრია, რადგანაც საშუალო განვითარების ქვეყანა სასურსათო უზრუნველყოფას 80–85% მაინც უნდა ახდენდეს ადგილობრივი წარმოებით, ხოლო დასაშვები იმპორტი 10–15% უნდა იყოს. მოგეხსენებათ საბაზრო ეკონომიკის პირობებში სასოფლო-სამეურნეო ფერმებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების ოპტიმიზაციას. საქართველოს აგრარულ სექტორში თანამედროვე პირობებისათვის მეწარმე-სუბიექტთა შორის სჭარბობს ოჯახური მეურნეობები და ახლა მიმდინარეობს მათი ფერმერულ მეურნეობებად გარდაქმნის პროცესი. ამ პროცესის დაჩქარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად აგრობიზნესის ეკონომიკური ეფექტის ზრდა უნდა მივიჩნიოთ.

კითხვა 8: პროდუქციის ექსპორტის მოცულობა ბოლო 5 წლის განმავლობაში.

განხილულია 2011–2016* წლების ექსპორტი სხვადასხვა კულტურების მიხედვით. როგორც ცხრილიდან ჩანს მეციტრუსეობზე მოდის ყველაზე მეტი წილი. ორგანიზაციები, რომლებიც ოპერირებენ საერთაშორისო ბაზარზე დიდი ხანი შესაბამისად მეტი ექსპორტი აქვთ. მეციტრუსეობის საკითხში თითქმის ყველა ექსპორტიორი 2011 წელთან შედარებით 2016*-ში უკვე გაცილებით დიდი რაოდენობით გააქვთ უცხოეთში თავიანთი საქონელი. 2013 წლიდან უკვე შეინიშნება მზარდი ტენდენცია, რაც მათივე განცხადებით ბაზრების დივერსიფიკაციის შედეგია მით უფრო, ისეთ ტრადიციულ ბაზარზე შესვლა, როგორც რუსეთია.

აღსანიშნავია მეჩაიეობის და მეხილეობის საკითხი. ცხრილიდან ჩანს, რომ ამ კულტურების ექსპორტირება უფრო სტაბილურად შენარჩუნებულია, არ განიცდის კლებას ან მატებას. დავინტერესდით თუ რატომ არ ზრდის ექსპორტიორი ჩაის ექსპორტს, ისინი ხომ სტაბილური მიწოდებლები არიან? აღმოჩნდა, რომ უფრო მეტის მიწოდება შეუძლიათ (ძირითადად შუა აზიის ქვეყნებში, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი), მაგრამ არ გააჩნიათ მეტი რესურსის მარაგი. შესაბამისად გურიის, სამეგრელოს ან იმერეთის რეგიონიდან უწევთ ჩაის შესყიდვა, რომელიც არ არის საკმარისი რაოდენობა. ძირითადად მზა სასაქონლო ფორმის პროდუქციად გადის ქართული ჩაი. სასურველია 10–15 ჰა დაუშვას სახელმწიფომ პრივა-

ტიზაცია და ეს ორგანიზაციები გაცილებით 60%-ით მეტს გაიტანენ ექსპორტზე, შესაბამისად ადგილობრივ ბაზარზეც დაიმკვიდრებენ სეგმენტს და ამით შეიძლება იმპორტირებული ჩაის ჩანაცვლება.

აქედან გამომდინარე, მსოფლიო გამოცდილების გამოყენება დაახქარებს დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრას. გამოწვევები კი საკმაოდ რთულია. არავისთვისაა სიახალე იმის განცხადება, რომ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა და მათ შორის სოფლის მეურნეობაც სტაგნაციის მდგომარეობიდან ვერ გამოვიდა. გასაგები მიზეზების გამო, დღის წესრიგში დადგა ბრძოლა თუნდაც იმისათვის, რომ შევძლოთ არც თუ ისე შორეულ წარსულში მიღწეული წარმოების მასშტაბებთან მიახლოება.

კითხვა 9: გააკეთეთ კომპანიის SWOT ანალიზი.

ამ კითხვის შევსებისას ექსპორტიორებმა როგორც გაიგეს ისე დაწერეს და გაგვიზიარეს თავიანთი მოსაზრება. ორგანიზაციების SWOT ანალიზით დადგინდა: მათ **ძლიერ მხარეს** წარმოადგენს: დაბალი/ადეკვატური ფასები, მდებარეობა, დიდი ხნის გამოცდილება და ბაზრზე ცნობადობა. ასევე გვხვდება ორგანიზაციების რომელთა ძლიერი მხარეა ტექნოლოგიური სიახლეები, კარგი მენეჯმენტი, მაღალი კვალიფიციური ტექნოლოგების და თანამშრომლების ყოლა. მათი **სუსტი მხარეებია:** ნედლეულის დეფიციტი, კონკურენტებთან შედარებით დაბალი ანაზღაურება, ზოგჯერ სათანადოდ არამოტივირებული თანამშრომლები/მუშები, რაც აისახება ორგანიზაციის არაეფექტურ მუშაობაზე, ადგილობრივ ბაზარზე თანამშრომლების და ტექნოლოგიების დიდი კონკურენცია. მათი **შესაძლებლობებია:** 10კა ჩაის პლანტაციის პრივატიზება, ფინანსური მხარის გასწორება და ისევე კონკურენტუნარიანობა ბაზარზე, ბამბუკის წარმოებისთვის 3–4კა პრივატიზირება და ტექნიკა დანადგარების შექმნა, სხვა პროდუქციის რეალიზაცია და ბაზრის გაფართოება. მათ წინაშე არსებული **საფრთხეებია:** უცხო ბაზრების დაკეცვა, ნარგავების ფართობების მკვეთრი შემცირება, არასტაბილური სავალუტო ვითარება. ეკონომიკის სამინისტროზე გადაცემული მომიჯნავე სასოფლო სამეურნეო სავარგულების სხვაზე გაყიდვა, რაც ხელს უშის ჩვენი ორგანიზაციის ტერიტორიულად გაფართოებას. კლიმატური არასტაბილურობა, დაუზღვეველი პროდუქციის გაფუჭება.

კითხვა 10: შეაფასეთ ბიუროკრატია საქსპორტო დოკუმენტაციის მოწესრიგებაში?

კვლევის ეს კომპონენტი საინტერესო იყო ჩვენთვის, იმდენად, რამდენადაც გვაინტერესებდა სახელმწიფოს როლი ექსპორტის ხელშეწყობისათვის, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია დოკუმენტაციის მოწესრიგება და დროუ-

ლად გაკეთება. 57.7% ანუ დიდი უმრავლესობა აფასებს კარგად, მეორე ნაწილი 34.6% კი ძალიან კარგ შეფასებას აძლევს ბიუროკრატულ საკითხების მოგვარებას. მხოლოდ 7.7% ამბობს, რომ ცუდია დოკუმენტაციების მომზადების პროცედურა და ხშირად უწევს სოფლიდან ჩამოსვლა და პროდუქციის წარმომავლობის საბუთის სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაკეთება, რაც მათი თქმით გულისხმობს დროის და რესურსების ფუჭად კარგვას. აჭარის აგრო-საწარმოების ჩამოყალიბების პროცესში წარმოჩინდა ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ჩართულობის გაფართოების, იუსტიციის სახლებისა და ნოტარიუსების მომსახურების რეჟიმის გამარტივების, ასევე სხვა აქტუალური პრობლემები.

კითხვა 11: პროდუქციის ექსპორტის გეოგრაფიული არეალი.

მოგეხსნებათ ინოვაციური პოლიტიკა სწორედ ის გზაა, რომელმაც საერთაშორისო თანამეგობრობისთვის საქართველო შესაძლებელია გადააქციოს წონად პარტნიორად ექსპორტის მრავალფეროვანი და ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოებასა და მიწოდებაში. ტრადიციული ბაზარი როგორცაა რუსეთი საკმაოდ დიდი საქსპორტო პოტენციალი აქვს აჭარის რეგიონისთვის. კონკრეტულად ეს ცხრილი აჩვენებს ექსპორტიორის ხვედრით წილს მისი მთლიანი პროდუქციის ექსპორტირებაში. ანუ თუ მას ექსპორტზე გააქვს 80% ან თუნდაც მთლიანი პროდუქციის 100%, რომელ ქვეყანაში რამდენი პროცენტით შედის. მაგ: სომხეთი 0–20%, რუსეთი 20–40%–მდე, უკრაინა 40–60%. რადგანაც კითხვის მოთხოვნაში იყო ზოგადი მონაცემები უნდა ვივარაუდოდ, რომ სომხეთში შეიტანა დაახლოებით 15%, რუსეთში 30–35% ხოლო დანარჩენი 50% უკრაინაში. ეს საკმარისი ინფორმაციაა იმის დასაანგარიშებლად, დაახლოებით, თუ რა აოდენობის პროდუქცია შეაქვს 3 სხვადასხვა ქვეყანაში.

რაც შეეხება დაფნის ფოთოლის ექსპორტს ჩანს, რომ უკრაინა ლიდერობს და თითქმის 90% ექსპორტირება ხდება უკრაინაში და მცირედენი მოცულობით რუსეთში. ასეთივე პირობებშია მეციტრუსეობაც, უმეტესი ექსპორტიორი ქვეყნები უკრაინა და რუსეთი რჩება. ხოლო სხვა დანარჩენ ქვეყნებზე მცირედენი ექსპორტირებით შემოიფარგლებიან აჭარის აგრარული სექტორის მწარმოებლები/ექსპორტიორები. ციტრუსი, ბაღჩეული და ხილი ცოტადენი რაოდენობით მაგრამ მაინც შედის ევროპასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში. ინტერვიუს დროს ექსპორტიორები აცხადებდნენ, რომ მათ ძალიან ბევრი დეტალების გათვალისწინება დასჭირდათ იმისათვის, რათა შესულიყვნენ ამ ბაზრებზე. მაღალი სტანდარტი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი და სრული დოკუმენტაციის მობილიზების გარეშე შეუძლე-

ბელია ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა. ჩაის პროდუქციის უმრავლესობა შუა აზიაში შედის, როგორც შეფუთული, დაფასოებული და მზა პროდუქცია. 15%-მდე შეიძლება შევიდეს როგორც ნედლეული. სასურველია სხვა პროდუქციაც ჩაის მსგავსად სრული სასაქონლო ფორმით შევიდეს დანარჩენ ქვეყნებშიც.

კითხვა 12: რა სახის პრობლემებს აწყდებიან გასაღების ბაზარზე?

ჩვენი აზრით საინტერესო იქნებოდა ჩაგვეერთო ეს კითხვაც ჩვენს კვლევაში, რათა გაგვეჩვენა, თუ რა სახის პრობლემებს აწყდება აჭარის ექსპორტიორები გასაღების ბაზარზე. დიდი რაოდენობა რესპოდენტებისა აცხადებს, რომ ექსპორტირებულ ქვეყანაში ფაქტიურად არ აწყდებიან პრობლემებს გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მაინც კონკურენციაა, ასეთ შემთხვევაში ფირმები იძულებული არიან უფრო ეფექტური სარეკლამო რგოლები და კამპანიები აწარმოონ ბაზრის გარკვეული სეგმენტის შესანარჩუნებლად. ზოგ შემთხვევაში საკანონმდებლო ან სატარიფო პოლიტიკის ცვლა და ვალუტის კურსის მერყეობა რჩება პრობლემად. სხვა შემთხვევებში პარტნიორებთან ან წარმომადგენლობებთან თანამშრომლობენ აჭარის აგრარული პროდუქციის საექსპორტო ფორმები და შეკვეთის შესაბამისად აგზავნიან საქონელს. პროდუქციის დაზიანების, გაფუჭების ან დაღპობის შემთხვევაში კი ურთიერთ მოლაპარაკების და შეთანხმების გზით აგვარებენ პრობლემას.

შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში საერთაშორისო ურთიერთობები, მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების გზით შეიძლება სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი წარმოების სფეროებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პრობლემებზე ინოვაციური მიდგომების ფოკუსირება. სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი წარმოების მართვის სფეროში უნდა დაინერგოს ახალი ტექნოლოგიები, რაც ხელს შეუწყობს აჭარის ა/რ-ის ფერმერებს კონკურენტუნარიანი გახდნენ საერთაშორისო ბაზარზე. შესაბამისად გაიზრდება ექსპორტის მოცულობა და წარმოება გადავა მაღალი ხარისხის პროდუქციაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარაში აუცილებლად მიგვანია სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების განვითარება.

კითხვა 13: სარგებლობთ თუ არა ექსპორტის დაზღვევით?

კვლევაში აჩვენა, რომ თითქოს და წარმატებულად ოპერირებენ ექსპორტიორები პროდუქციის გატანას საზღვარგარეთ, მაგრამ 61.5% საერთოდ არ აზღვევს და არ სარგებლობს სატრანსპორტო

დაზღვევით, მათი აზრით ეს ზრდის ხარჯებს. ხოლო 26.9% სისტემატიურად აზღვევს პროდუქციას ექსპორტის დროს. ეს უფრო ეხება საერთაშორისო სავაჭრომობილო საშუალებებს რის გარეშეც ევროპის საბაჟო სამსახურები არ შეუშვებენ თავიანთ ქვეყანაში, შესაბამისად ვაღდებულები არიან დააზღვიონ ტვირთი. გვხდება ექსპორტიორთა ისეთი კატეგორიაც, რომლებიც ზოგჯერ აზღვევენ და სარგებლობენ საექსპორტო დაზღვევით 7.7%, ზოგჯერ კი ისინი არ აზღვევენ მას (3.8%). ჩვენ ვერ შევქმნიდით რაღაც განსაკუთრებულ ფორმას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ აუცილებლად გასათვალისწინებელია საკვლევი წინადადების მომზადება ფერმერთა განწყობა-შეხედულებების გათვალისწინებით. როგორცაა:

1. სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების შესახებ ხალხთან ინფორმაციის მიწოდება;
2. ექსპორტის განმახორციელებელი სასოფლო-სამეურნეო ფერმერების დამოკიდებულების შესწავლა. გეოგრაფიული საზღვრები, სამეწარმეო მიმართულება და ა.შ.;
3. მოსახლეობის მიერ აგრარული პროდუქციის ხარისხის ამდლების საინიციატივო ჯგუფების შექმნა სანდოობისა და კომპეტენციის, ავტორიტეტის გათვალისწინებით;
4. ექსპორტიორი ფირმების სრული ინფორმირებულობა და ტრენინგი იმ ქვეყნის საკანონმდებლო თუ საბაჟო საკითხების შესწავლის დასახმარებლად;
5. სასოფლო-სამეურნეო ფირმების გათვითცნობიერება სადაზღვევო სისტემით და მისი მნიშვნელობა სამომავლო სამოქმედო გეგმის შემუშავება.

კითხვა 14: როგორ შეაფასებდით თქვენს ცოდნას საკანონმდებლო ბაზის, სახელმწიფო რეგულაციების და საექსპორტო სატარიფო პოლიტიკის შესახებ?

ჩვენ დავინტერესდით, თუ როგორ ართმევენ თავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ფერმერები საკანონმდებლო ბაზას, მთლიანობაში ნაგულისხმე-ვია იმ დოკუმენტაციის ნუსხა და მოწესრიგებულობა, რომელთანაც უწევთ მუშაობა, იქნება ეს ადგილობრივი ფირმების რეგისტრაცია, თუ საექსპორტო სიახლეების და ნორმატიული აქტების დამუშავება.

კითხვის სტრუქტურა 10 ბალიანი სისტემით ჩამოყალიბდა, აქედან 1 არის ძალიან ცუდი და 10 ძალიან კარგი. გრაფიკულ გამოსახულებაში მოცემული შედეგი დამაკმაყოფილებელია, რადგანაც ექსპორტიორთა უმეტესი ნაწილი ანუ დაახლოებით 60% საკმაოდ კარგად არის გათვითცნობიერებული აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. მნიშვნელოვანია აჭარა გახდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი-ორი რეგიონი. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე

ხელმოწერის შემდეგ, აგრარული დარგი ახალი გამოწვევის წინაშე დგას. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის ქვეყნების, ასევე ჩინეთისა და იაპონიის ბაზრებზე ქართული პროდუქციის ექსპორტირების ხელშეწყობას და სტიმულირებას.

აუცილებელია მივაღწიოთ მაღალგანვითარებულ აგრარულ წარმოებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და რეალიზაციის რეგულირების ღონისძიებათა სისტემა (სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური), რომელშიც ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საგარეო ვაჭრობის საბაჟო რეგულირების ინსტრუმენტებს - სატარიფო და არასატარიფო მექანიზმების შესწავლას, ყურადღების მიქცევას და მნიშვნელოვან კომპონენტად მიჩნევას [3. გვ. 7-17].

კითხვა 15: რამდენად გეხმარებათ სახელმწიფო პროდუქციის ექსპორტირებისას?

სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებში უშუალო მონაწილეობისა და გაფართოების სტიმულირების თვალსაზრისით, კვლავაც აქტუალურ პრობლემად რჩება ეროვნული აგრარული საწარმოების საექსპორტო საქმიანობის ხელშეწყობი ბერკეტების მუდმივი გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსის გატარება. ჩვენის აზრით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირება, იმ მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ექსპორტის განვითარებას და პასუხობს ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელ კანონებს, ეს ერთი მხრივ ხელს უწყობს ექსპორტიორთა შანსს დაბრკოლების გარეშე მოხვდნენ პარტნიორი ქვეყნის ბაზარზე.

კონკრეტული შედეგი კი გვიჩვენებს, რომ 31% აცხადებს რომ სახელმწიფო არ ეხმარება პროდუქციის ექსპორტირებაში და აფასებს 10 ბალიან სისტემაში 0 ქულით. ვლინდება ასევე 6-7 ქულით შემავსებლები რომელთა ჯამი 30%-ს არ აღემატება. ხოლო 9-10 ქულით ფასდება ექსპორტიორთა 10%-ის მოსაზრება. აჭარის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების და ექსპორტიორების ძირითად ამოცანად გვევლინება საექსპორტო საქმიანობისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა პროტექციონისტული ღონისძიებების მთელი კომპლექსის გატარებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მსოფლიოში მიღებულ თამაშის წესებს და ადგილობრივი მეწარმეების მიჩნევა პრიორიტეტად. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია განაპირობებს საგარეო ვაჭრობის, კაპიტალის მოძრაობისა და სავალუტო-საფინანსო ურთიერთობების ლიბერალიზაციის აუცილებლობას, რომლითაც ჩვენ-

მა ექსპორტიორებმაც უნდა სარგებელი ნახოს [4. გვ. 11-63].

დასკვნა

კვლევაში გვიჩვენა, რომ როგორც ქვეყნის, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის სასურსათო სექტორში ჩამოყალიბებულმა საბაზრო ურთიერთობათა მოდელმა სრულად ვერ შეასრულა თავისი დანიშნულება და ვერ უზრუნველყო ეფექტიან ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმირება, რამაც მიგვიყვანა წარმოების მნიშვნელოვან შემცირებაზე და მოსახლეობისათვის საჭირო სასურსათო პროდუქტების უკმარისობამდე.

ამრიგად, ინოვაციური პოლიტიკის სრულფასოვნად გატარებისათვის დაფინანსების სხვადასხვა წყაროებით განხორციელებული პროექტები და პროგრამები ჯერ-ჯერობით ვერ უზრუნველყოფენ აგრობიზნესის ეფექტური მოდელის ჩამოყალიბებას და არსებული რესურსების სრულად და რაციონალურად გამოყენებას. მიუხედავად გარკვეული ე.წ. წერტილოვანი საჩვენებელი ობიექტების შექმნისა და სწავლება-კონსულტირებისა, ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მასშტაბები ვერ იძლევა სერიოზული გარდატეხის მოხდენის შესაძლებლობას. ამიტომ ყველა მიმართულებით ინოვაციების დანერგვის გაფართოება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ქმედითუნარიანობას გაზრდის და შესაბამისად ექსპორტირების მასიურ ხასიათსაც მიიღებს.

კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები. კვლევიდან ჩანს, რომ მცირე ფერმერი მხოლოდ მარტო შრომით და ცოტა მოსავლით ვერ იქნება კონკურენტუნარიანი და ვერ აწარმოებს წარმატებით საექსპორტო აქტივობას. დაკვირვებიდან ჩანს, რომ საჭიროა კოოპერატიული მეურნეობების გაძლიერება და ურთიერთანამშრომლობა, რათა მასიური გახდეს პროდუქციის წარმოება, შესაბამისად იოლი გახდება უცხო ქვეყანაში შეტანა, რადგანაც იგი უკვე ხდება ამა თუ იმ პროდუქციის სისტემური და სტაბილური მიმწოდებელი.

რეკომენდაციები. ამრიგად, ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან აშკარად გამოვლინდა პრობლემები, რომელთა აღმოფხვრის მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

✓ აჭარის ა.რ. აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს ურთიერთანამშრომლობა საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

✓ სტრატეგიის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა

დაეთმოს ფერმერთა გადამზადებას საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნების შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინტეგრირებულ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, სტატისტიკური აღრიცხვიანობის გაუმჯობესებას, საბაზრო საინფორმაციო სისტემის შექმნას, სასურსათო უსაფრთხოების ანალიზისა და

მონიტორინგის ხარისხის გაუმჯობესებას.

✓ საჭიროა გატარდეს მიწების გამსხვილების და ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობის ღონისძიებები; აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება.

ლიტერატურა

1. ბაზრის ანალიზი მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა საქართველო წლიური ანგარიში 31 აგვისტო 2016;
2. ნიუმანი, ვ. ლ. (2003). სოციალური კვლევის მეთოდები: თვისობრივი და რაოდენობრივი მიდგომები (მე-5 რედ.). ბოსტონი: A & B. (Newman, W. L. (2003). Social Research Methods: Qualitative and Quantitative Approaches (5th ed.). Boston: A&B.)
3. ოპპენჰეიმი ა. ნ. (1992). კითხვარის ორგანიზება, ინტერვიუს და შემართების საზომი. ლონდონი და ნიუ იორკი;
4. ალრეკ, პ. ლ. სიიტლი, რ. ბ. (1985) კვლევის სახელმძღვანელო. ჰომუუდ: ირვინ.

REFERENCES

1. MARKET ALLIANCES IN THE LESSER CAUCASUS REGION OF GEORGIA Bi -ANNUAL REPORT August 31st 2016;
2. Oppenheim, A. N. (1992). Questionnaire Design, Interviewing and Attitude Measurement. London & NY: Continuum;
3. Alreck, P. L. Seattle, R. B. (1985). The Research Handbook. Homewood: Irwin.)

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ზოგიერთი პრობლემა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

SOME PROBLEMS OF THE STATE PROPERTY PRIVATIZATION IN THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA

თამთა ვარშანიძე

TAMTA VARSHANIDZE

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

Batumi Shota Rustaveli State University,
PHD student of Business administration

ანოტაცია

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური ტენდენციები მიმართულია საკუთრების დემოკრატიზაციისაკენ. რამაც გააღრმავა ჩვენი ინტერესი საკუთრების უფლების დიფუზიის, კანონიერების დაცვის და უფლებათა ზღვრის დადგენის მიმართულებით. ხოლო პრივატიზაციამ, როგორც სახელმწიფო საკუთრების პერსონიფიცირებულ კერძო საკუთრებად გარდაქმნამ, დიდი როლი შეასრულა საქართველოში სახელმწიფო-მონოპოლისტური საკუთრების ტრანსფორმაციის პროცესში. მიგვაჩნია, რომ ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური წარმატების, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის სფეროში მიღწევა საკუთრების უფლების დაცვისა და მიწის საკუთრების გამჭვირვალე სისტემის შექმნის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია.

საკვანძო სიტყვები: კერძო საკუთრება, საკუთრების ფორმები, სახელმწიფო, საბაზრო ეკონომიკა, ინვესტიცია, ეკონომიკური თავისუფლება, პრივატიზაცია.

Abstract

In the modern world economic trends are directed toward the democratization of property. Which deepened our interest in the diffusion of property rights, law enforcement and determining the direction of the limits of property rights. We believe that The country's long-term economic success, especially in the field of agriculture and the protection of property rights is almost impossible without receiving a transparent system of land ownership.

Keywords: Private property, Forms of ownership, State, Market economy, Investment, Economic freedom, Privatization.

საკუთრების უფლება იმ ბუნებით უფლებათა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც დემოკრატიული სახელმწიფოს ბაზისს ქმნიან. ის წარმოადგენს ყოველი ინდივიდის ღირსეული ცხოვრების საფუძველს და ამავედროულად, საბაზრო ეკონომიკის, სამოქალაქო ბრუნვის და სამეწარმეო ურთიერთობის წინაპირობაა.¹

საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუხებელია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების

გაუქმება. (საქ. კონსტიტუცია მუხლი 21)

თანამედროვე საზოგადოება იცნობს საკუთრების არაერთ ფორმას. ყოველი ფორმის წარმოშობისა და მისი ტრანსფორმირების პროცესს სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი განსაზღვრავს. საკუთრების ახალი ფორმა ყალიბდება და მკვიდრდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ფორმას მოითხოვს წარმოების ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებები, ანუ ადამიანთა შორის შრომითი საქმიანობის, გაცვლისა და დოვლათის განაწილების შეცვლილი ფორმები.

1 <https://tinatskhvediani.wordpress.com/2013/02/16/საკუთრების-უფლების-განმა/>


საქართველო, ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ახორციელებს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ პრინციპებზე გადასვლას. რომელსაც ამჟამად ალტერნატივა არ აქვს, რადგან დღემდე ცნობილ ეკონომიკურ სისტემათა შორის იგი ყველაზე ეფექტურია. ეს პროცესი ექვემდებარება მთავარ ეკონომიკურ კანონზომიერებას. მათ შორის უმთავრესია საკუთრების რადიკალური რეფორმა, სწორედ ამიტომაც, წინამდებარე სტატიაში შევეცადეთ წარმოგვედგინა აჭარის რეგიონში მიმდინარე საკუთრების ფორმების რეფორმა და მის ეკონომიკურ შედეგი.

ჩვენის აზრით არსებული პრობლემების ანალიზი, ბიზნესის გარემოს შესაფასებლად, მნიშვნელოვანია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანალიზება, აღნიშნული ინდექსი არის ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებელი,

რომელსაც ადგენს საერთაშორისო სტრუქტურები სახელმწიფოს სტრუქტურებთან და სხვადასხვა ინსტიტუტებთან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც დგინდება ქვეყნებს შორის სხვაობა ეკონომიკური თავისუფლების ცალკეული ინდიკატორების მიხედვით.

Heritage Foundation - ის მიერ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანგარიშება ემყარება 10 მაჩვენებლის განსაზღვრას: ბიზნესის თავისუფლება; ვაჭრობის თავისუფლება; ფისკალური თავისუფლება; სახელმწიფოსაგან თავისუფლება; მონეტარული თავისუფლება; საინვესტიციო თავისუფლება; ფინანსური თავისუფლება; საკუთრების უფლება; კორუფციისაგან განთავისუფლება; შრომის თავისუფლება.

დიაგრამა: 1. საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის დინამიკა



წყარო : 2016 INDEX OF Economic Freedom <http://www.heritage.org/index/country/georgia>

ჩვენ ვთვლით რომ საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ეს ის წინაპირობაა რაც განსაზღვრავს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.


2006 წლიდან 2014 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სულ 10 972.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2014 წელს ინვესტიციების მოცულობა 1 758.4 მლნ. აშშ დოლარი დაფიქსირდა, რაც 86.7%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიურ მონაცემებს.²

რაც შეეხება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ცვალებადი დინამიკით ხასიათდება. ყველაზე მაღალ ნიშნულს 2014 წელს მიაღწია და 159275.1 ათას აშშ

დოლარს გაუტოლდა. აღნიშნული მონაცემები ამყარებს საქართველოს პოზიციას ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში, რადგან რაც უფრო მოწინავე რიგებშია ქვეყანა გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით, მით მეტად ინტეგრირებულია სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან და ცდილობს ეროვნული ეკონომიკის გამყარებას უცხოური ინვესტიციების საშუალებით, რის შესაძლებლობასაც აძლევს გარემო პირობები. მსგავსი ტიპის პერსპექტივები ფართო ასპარეზს უშლის საქართველოს მსგავს განვითარებად ქვეყანას, რათა უფრო მიმზიდველი და ნოყიერი ნიადაგი შექმნას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით აღმოცენებული და შექმნილი დასაქმების ადგილებისთვის.

2 <http://www.economy.ge/ge/economic-sectors/foreign-direct-investments>.

დიაგრამა: 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აჭარაში. ათასი აშშ დოლარი



წყარო: აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო <http://adjara.gov.ge/>

ასევე მნიშვნელოვანია ის რომ ეს მონაცემები ადასტურებს თუ რაოდენ დიდია და დღითიდღე იზრდება კერძო საკუთრების როლი საბაზრო ეკონომიკაში, და მისი მფლობელების სწრაფვა მაქსიმალური მოგებისკენ, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხერხემალს წარმოადგენს.

პრივატიზაცია გულისხმობს სახელმწიფო ქონების გაყიდვა გასხვისებას. ეს პირველ რიგში ნიშნავს იმას, რომ გაყიდვიდან მიღებული თანხები მიემართება ბიუჯეტში, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო შემოსავლებისა და შესაბამისად, ბიუჯეტის გაზრდას, ანუ ხდება ფისკალური ეფექტის ამაღლება. პრივატიზაციის შედეგად მყიდველი, გარდა იმისა რომ იხდის შესაბამის თანხას ბიუჯეტში, ასევე საკუთრებაში გადაცემულ ქონებაში ახორციელებს ინვესტიციებს. დაბანდებული ინვესტიციები ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც ხელს უწყობენ მწარმოებელურობის ამაღლებას, რის საფუძველზეც ვითარდება ეროვნული მეურნეობა და იქმნება ახალ-ახალი სამუშაო ადგილები. შესაბამისად იზრდება დასაქმების დონე. გარდა ამისა მწარმოებელურობის გადიდება იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) გადიდებასაც. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. აქვე აღსანიშნავია, რომ პრივატიზაციის დროს საქმე გვაქვს დადებით ფისკალურ ეფექტთან არა მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში, არამედ გრძელვადიან პერიოდშიც გადასახადების სახით, რომელსაც ამოქმედებული საწარმო გადაიხდის ბიუჯეტში. (სამადაშვილი 1995:41)

ჩვენი ინტერესის სფეროს სახელმწიფო ქონების მართვის თვალსაზრისით წარმოადგენს აჭარის რეგიონში მიმდინარე პროცესები. კერძოდ კი პრივატიზებული ობიექტების მიზნობრივი ფუნქციონირება და დასაქმებულთა რიცხვს, თითოეული ობიექტის საპრივატიზაციო ღირებულება, ამონაგები და სხვა.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ის პრობლემები რაც ზოგადად აჭარის რეგიონში პრივატიზების პროცესს ახლავს თან. საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანილია ისეთი ობიექტები დაბა ხელვაჩაურის, ქობულეთის, დაბა ჩაქვის, შუახევის რაიონიდან სადაც ძველი შენობები ფაქტიურად განადგურებული და დაზიანებულია, საჭიროებს სრულ დემონტაჟს. სახელმწიფომ უნდა მოახდინოს

ასეთი ობიექტების ლიკვიდაცია და ტერიტორია პრივატიზებულ უნდა იქნას, როგორც არასასოფლო-სამეურნეო ან სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. ასევე მწვავედ დგას მიწის ნაკვეთების ძველი მეპატრონეების პრობლემა, რომლებიც ფაქტიურად მფლობელები არიან კონკრეტული ტერიტორიების მაგრამ არა იურიდიული თვალსაზრისით, ეს კიდევ აფერხებს მიწის ნაკვეთების პრივატიზაციას პროცესს, რადგან თავად კანონიერად ვერ ახდენენ მიწის დაკანონებას, და ხელს უშლიან მის გასხვისებას.

პრივატიზაციის პროცესი თავისთავად მნიშვნელოვანია იქედან გამომდინარე, რომ ის ხელს უწყობს ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირებას და ზრდის ინვესტიციების მოცულობას, რაც ძლიერი ეკონომიკის წინაპირობაა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირობადებული აუქციონის გამოყენება საპრივატიზაციოდ. ჩვენს მიერ განხილულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ პირობადებული აუქციონის ფორმით 2015 წელს პრივატიზებული ობიექტის ნუსხა.

ცხრილში დახასიათებული პროექტების განხორციელება და სისრულეში მოყვანა, საკმაოდ დიდი შესაძლებლობებით ხასიათდება აჭარისთვის როგორც, ტურისტული რეგიონისთვის, რადგან სამ ობიექტზე (ქ. ბათუმი, კახაბრის დასახლებაში მდებარე 29 445 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.32.14.055); ქალაქი ბათუმი, კახაბრის დასახლებაში მდებარე 25 000 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.32.03.754) და ქალაქი ბათუმი, ტბ. აბუსერძის ქ.15/ფიროსმანის ქ. 5-ში მდებარე 3718 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.24.08.131)) შენდება მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა, კერძოდ 200-220 ნომრიანი სასტუმრო, სამორინე, საკონფერენციო დარბაზი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი. ასევე მნიშვნელოვანია ინვესტიციების თვალსაზრისით ჯამში სამივე პროექტი მოიცავს 65 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციას, და დაასაქმებს არანაკლებ 600 მუშახელს, რომელთაგან 80% და მეტი იქნება საქართველოს მოქალაქე.

ცხრილი: 1. აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2015წ. პირობადებული აუქციონის ფორმით პრივატიზებული ობიექტები.

№	დასახელება მისამართი	სააუქციონო პირობა ინვესტიციების განხორციელების კუთხით	სააუქციონო პირობა მოსახლეობის დასაქმების კუთხით
1	ქ. ბათუმი, კახაბრის დასახლებაში მდებარე 29 445 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.32.14.055)	არანაკლებ 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში	არანაკლებ 300(სამასი) მოქალაქის დასაქმება, საიდანაც არანაკლებ 80%-ს უნდა შეადგენდეს საქ. მოქალაქეს
2	ქალაქი ბათუმი, კახაბრის დასახლებაში მდებარე 25 000 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.32.03.754)	არანაკლებ 20 000 000 (ოცი მილიონი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში	არანაკლებ 300(სამასი) მოქალაქის დასაქმება, საიდანაც არანაკლებ 80%-ს უნდა შეადგენდეს საქ. მოქალაქეს
3	ქალაქი ბათუმი, ტბ. აბუსერიძის ქ.15/ფიროსმანის ქ. 5-ში მდებარე 3718 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.24.08.131)	არანაკლებ 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში	ამოქმედებიდან არანაკლებ 10 წლის განმავლობაში პროფილისა და დასაქმებულთა შენარჩუნება, სადაც დასაქმებულთა არანაკლებ 90%-ს უნდა შეადგენდეს საქ. მოქალაქე
4	ქალაქი ბათუმში, სამრეწველო ზონაში მდებარე 413 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული 1749 კვ.მ მიწის ნაკვეთი	არანაკლებ 100 000(ასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება	არანაკლებ საქ. 15 მოქალაქის დასაქმება, ობიექტის პროფილის და დასაქმებულთა რაოდენობის შენარჩუნება 5 წლის განმავლობაში

წყარო: აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო <http://adjara.gov.ge/>

გარდამავალი ქვეყნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრივატიზაციის პროცესის სწრაფი და ეფექტური განხორციელება, რომლის პროცესშიც უამრავ პრობლემას ვაწყდებით, მათ შორისაა პირობების დარღვევა, პროექტის გაჭიანურება, სიმბოლური ფასები რაც არ არის ხელსაყრელი ქვეყნის ბიუჯეტისათვის, დანიშნულების შეცვლა. პრობლემებს ვაწყდებით მყიდველის მიერ პრივატიზებული ობიექტის საფასურის კანონით განსაზღვრულ ვადაში გადახდისას. ამ მიზეზის გამო სახელმწიფო იძულებულია ვადა გაზარდოს, მაგრამ რადგან აუქციონის შემთხვევაში თანხის დაფარვის პერიოდი მკაცრად შეზღუდულია, ქონების პრივატიზება კონკურსის წესით ხდება.

ტრანსფორმაციის დროს თანდათან საკუთრების სფეროშიც ყალიბდება ახალი ეკონომიკური ურთიერთობები. აქვე აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ქვეყანამ, რომელთა ეროვნულ მეურნეობაში სახელმწიფო სექტორი დომინირებულ როლს

ასრულებს, ხოლო კერძო სექტორი მეტისმეტად შეზღუდულია, ეკონომიკურ სფეროში მარცხი განიცადა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის არსებობა მეტყველებს იმაზე, რომ ამ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარება დაბალ დონეზეა, ვიდრე კლასიკურ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

საქართველოში კერძო სექტორი უმთავრესად პრივატიზებული მცირე და საშუალო საწარმოებისაგან შედგება. ისინი არცთუ დიდი ხანია, რაც დამოუკიდებელ ფუნქციონირებას შეუდგნენ ამიტომ, ცხადია თუ როდენ დიდი ძალისხმევაა საჭირო კერძო სექტორის შემდგომი განვითარებისათვის. მართალია, კერძო სექტორის ჩამოყალიბება ფრიად რთული და კომპლექსური პრობლემაა, მაგრამ მისი დაჩქარება საქართველოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. სხვანაირად ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევის ვერ შეძლებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პრივატიზაციის პროცესი მიმდინარეობს რეგიონში არსებული პირობების შესაბამისად. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ მრავალი ხელის შემშლელი ფაქტორი არსებობს, რომელთაგანაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრებაში გადაცემა. პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა გარკვეული ღონისძიებების განტარება:

- საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება;
- სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უფლების აღიარების პროცესის გამარტივება;
- ფაქტიურ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების დაკანონება;
- სანქციების დაწესება კერძო საკუთრებაში არსებული დაუმუშავებელ და აუთვისებელი მიწებზე;

➤ სახელმწიფოს მხრიდან საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანილი უკვე დანგრეული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და მხოლოდ მიწის ფართის პრივატიზება.

პრივატიზაცია ზრდის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას, რაც შრომის ნაყოფიერების გაზრდის და ფასის შემცირების საშუალებას იძლევა. პრივატიზაცია აჭარის რეგიონში სახელმწიფო სექტორს სრულიად შეცვლის კერძო სექტორით, რაც შეამცირებს სახელმწიფოს ხარჯებს მის ბალანსზე არსებული შენობა ნაგებობების თუ კულტურული ძეგლების მოსავლელად.

და ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად მიმდინარე გლობალური პროცესები რომელიც თავისთავად ხელს უწყობს კაპიტალიზმის გამწვავებას და კერძო საკუთრების მაქსიმალურ განვითარებას, ხელს უწყობს პრივატიზაციის პროცესების დაჩქარებას, რაშიც თანაბარი პასუხისმგებლობით არიან ჩართული როგორც კერძო მესაკუთრეები ასევე სახელმწიფო დაწესებულებები.

ლიტერატურა

1. ავტორთა...2008: „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული“ თბილისი, 2008;
2. ვეშაპიძე...2008: „მსოფლიო ეკონომიკა“. თბილისი, 2008;
3. „გლობალიზაცია, როგორც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის საყოველთაო არსი“. თბილისი, 2011;
4. სისვაძე...2006: „ეკონომიკური თეორიი“. თბილისი, 2006;
5. სტიგლიცი...2012: „გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“. თბილისი, 2012;
6. სამადაშვილი...1995: „სახელმწიფო საწარმოების პრივატიზება და კერძო მეწარმეობის განვითარება საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ საქართველოში“. თბილისი, 1995;
7. საქართველოს...1995: „საქართველოს კონსტიტუცია“. თბილისი, 1995;
8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - <http://adjara.gov.ge>
9. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - www.nplg.gov.ge
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - <http://geostat.ge/>

References

1. „Globalization of the Economy and Development Prospects, International Scientific Conference” Tbilisi 2008;
2. Veshapidze...2008: “The world economy” Tbilisi 2008;
3. Todua...2011: „Globalization, as a universal essence of the modern world economy” Tbilisi 2011;
4. Sisvadze...2006: “Economic theory” Tbilisi 2006;
5. Stiglitz...2012: “globalization and its discontents” Tbilisi 2012;
6. Samadashvili...1995: “The privatization of state-owned enterprises and development of private entrepreneurship in the transition to a market economy in Georgia” Tbilisi 1995;
7. The Constitution Tbilisi 1995;
8. <http://adjara.gov.ge>;
9. www.nplg.gov.ge;
10. <http://geostat.ge>.

სნმ –ს სახელმწიფოების ინტეგრაციული თანამშრომლობის
პერსპექტიული მიმართულებები

ПЕРСПЕКТИВНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ ИНТЕГРАЦИОННОГО
СОТРУДНИЧЕСТВА СТРАН СНГ

PROSPECTIVE AREAS INTEGRATION COOPERATION OF CIS COUNTRIES

გელა გვარიშვილი

პოლიტიკურ მეცნიერებათა
კანდიდატი, ბათუმის ნავიგაციის
სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი

GELA GVARISHVILI

Candidate of Political Sciences,
Professor Batumi Navigation
teaching University

ГЕЛА ГВАРИШВИЛИ

Кандидат политических наук,
профессор Батумский учебный
университет навигации

ანოტაცია

სტატიაში გაანალიზებულია ინტეგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა სივრცეში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი ვითარდება ეკონომიკური რეგიონალიზმის ზოგადი კანონზომიერების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე შემთხვევითი არ არის ევრაზიული ინტეგრაციის მონაწილეების მიერ თანაბარსიქარიანი მიდგომის გამოყენება, რომლის თანახმადაც, თითოეული სახელმწიფო, წმინდა ინდივიდუალურად, ირჩევს პოლიტიკური მოძრაობის მარშრუტს, ეთანხმება ეროვნული პოლიტიკის კოორდინაციისა და ჰარმონიზაციის სხვადასხვა დონის მიზნებს, თუნდაც შესახელმწიფოებრივი გაერთიანებების შედეგად სუვერენული უფლებამოსილებების გარკვეული ნაწილის დათმობასაც კი, რათა იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ და განახორციელოს საკუთარი ინტერესები.

საკვანძო სიტყვები: ინტეგრაციული პროცესები, რეგიონალიზმი, სახელმწიფოთა შორისი, ბიოსაწვავი.

Abstract

The Eurasian Economic Union (EEU), created in 2015 by Russia, Kazakhstan, Kyrgyzstan, Belarus and Armenia, claims to be the first successful post-Soviet initiative to overcome trade barriers and promote integration in a fragmented, under-developed region. Supporters argue that it could be a mechanism for dialogue with the European Union (EU) and other international partners. Critics portray a destabilizing project that increases Russia's domination of the region and limits its other members' relations with the West. On paper, the EEU is an economic, technocratic project that offers some benefits to members, particularly in easing cross-border trade and facilitating labour migration, but also poses economic risks by raising external tariffs and potentially orienting economies away from global markets. So far it has had little economic success, though access to Russia's labour market has been an important motivator and, on balance, a positive outcome for struggling post-Soviet economies. The article analyzes the processes taking place within the framework of EEU and in its conclusions suggests that regardless of any difficulties of an economic or political nature, which stand in the way of applicant countries joining the customs union and/or the EEU, or which hinder negotiations about agreeing a common free trade area, the increase in Eurasian integration has more positive than negative results for the parties involved. The positive effects of expansion, which occur automatically for members of the EEU and/or customs union, are plain to see. These positive effects of expansion include primarily the consolidation of reciprocal trade relationships; the expansion of sales markets; the regulation of questions of transport and commerce stability; the legalization of a significant amount of work force migration, which previously lay in a grey area. The

issue of a potential equalization across the entire region of Eurasia with the Chinese economic expansion could also be an important consequence of the Eurasian integration process.

Keywords: *Integration processes; Regionalism; Biofuels; Interstate.*

Вступление. Интеграционные процессы на постсоветском пространстве, безусловно, развиваются с учетом общих закономерностей экономического регионализма. В этой связи не случайно использование участниками евразийской интеграции равноскоростного подхода, согласно которому каждое государство, в сугубо индивидуальном порядке, выбирает маршрут политического движения, соглашается на различные меры по координации и гармонизации национальной политики, вплоть до уступки части суверенных полномочий надгосударственным объединениям, по своему усмотрению и в осуществление своих интересов.

В этом отношении особого внимания заслуживает подход в рамках Единого экономического пространства, основанный на четырех свободах - свободе движения товаров, услуг, капитала и рабочей силы. По мнению экспертов, именно эта форма интеграции способствует наиболее эффективному использованию экономического потенциала стран-участниц, что, в свою очередь, является залогом успеха региональной экономической интеграции.

Результаты исследования. В настоящее время создана обширная международно-правовая база, которая должна стать основой работы надгосударственных органов ЕАЭС, обеспечивающих деятельность в макроэкономическом и в отраслевом разрезе. Так, помимо макроэкономических органов – Экономического совета и Экономического Суда СНГ, Комиссии по экономическим вопросам при Экономическом совете, существует 39 органов отраслевого сотрудничества СНГ. При этом в контексте взаимной торговли и базовых направлений интеграции особо выделяются – Электроэнергетический совет, Совет по железнодорожному транспорту, Координационное транспортное совещание, Региональное сотрудничество в области связи, Совет руководителей таможенных служб, Межправительственный совет по вопросам агропромышленного комплекса, Межгосударственный совет по антимонопольной политике. Очевидно, что последний совет имеет ключевое значение для обеспечения добросовестной конкуренции в СНГ, соблюдения антимонопольного законодательства на пространстве СНГ, приведения правовых и регулятивных норм конкурентной политики в соответствие с международными нормами.

კოლხეთში ვერცხლის ფულის ემისია ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში დაიწყო, მაშინ როცა მონეტა მსოფლიოს სულ რამდენიმე სახელმწიფოში იჭრებოდა, ამდენად კოლხური თეთრი მსოფლიოს უძველეს მონეტათა რიცხვს მიეკუთვნება და თავისი მხატვრული სახითა და ტექნიკური შესრულების დონით ტოლს არ უდებს თანადროული მოწინავე ქვეყნების არც ერთ მონეტას.

კოლხური თეთრის მცირე ნომინალები ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნემდე დარჩა ბრუნვაში, როცა მას აღექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაკეს ოქროს სტატერები და ამ სტატერების ადგილობრივი, ქართული მინაერთე-

ბი ჩაენაცვლა და მას უმდეგ საქართველოში ფულის მიმოქცევა არასოდეს შეწყვეტილა, თუმცა ქვეყნის ტერიტორიაზე მიმოქცევაში მყოფი ფული ყოველთვის არ იყო ორიგინალური ეროვნული ვალუტა.

ასე, მაგალითად, ქრისტიანული წელთაღრიცხვის პირველ-მეორე საუკუნეების საქართველოში (იბერიაში ანუ ქართლის სამეფოში) პარალელურად მიმოქცეოდა რომაული და პართული ფული, რაც ბრწყინვალედ ასახავს იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას, როდესაც პატარა ქართულ სამეფოს უხდებოდა ბალანსირება ორ ურთიერთმოქიშპო იმპერიასს რომსა და ირანს (პართიას) შორის. მეშვიდე-მეათე საუკუნეებში კი, არაბობის დროს, საქართველოში ისევე როგორც მთელს ახლო აღმოსავლეთში, არბული დირჰემები იბრუნვოდა და თბილისის ზარაფხანაშიც არაბული ყაიდის მონეტებს ჭრიდნენ. ანალოგიური ვითარება იყო XVI-XVII საუკუნეებშიც, სპარსელთა მძლავრობის დროს: ქართლისა და კახეთის მეფეები იძულებულნი იყვნენ ირანის სეფიანი შაფების სახელით მოეჭრათ ვერცხლის ფული თბილისისა და ზაგემის ზარაფხანებში, შესაბამისად.

მაგრამ, როგორც კი ოდნავ მაინც სუსტდებოდა საგარეო-პოლიტიკური წნეხი, საქართველოს ხელისუფლება დაუყოვნებლივ ახორციელებდა თავის სუვერენულ რეგალიას - ჭრიდა საკუთარ ფულს.

ქართული ასომთავრული ზედწერილები მონეტებზე პირველად VI საუკუნეში ჩნდება: ქართლის ერისმთავრები გუარამი, ჯუანშერი და სტეფანოზი ჭრიან ვერცხლის მონეტებს, რომლებიც ირანის შაჰის პორმიზდ IV (579-590 წ.წ) დრაქმის ტიპს იმეორებს და ზედ თავის სახელებს აწერენ. ამავე ტიპის ანონიმურ ქართულ-სასანურ მონეტებზექრისტიანული სიმბოლოური ჯვარია გამოსახული, ან ავერსზე, შაჰის პორტრეტის გერდით, ან რე-

ვერსზე, სადაც ჯვარს უკავია სასანელთა უდიდესი სიწმინდის - ცეცხლის ადგილი საკურთხეველზე.

ქართულ-სასანური მონეტები საკმაოდ იშვიათ მონეტათა რიცხვს მიეკუთვნება. X-XII საუკუნეები საქართველოს უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის ხანაა. არაბთა ბატონობიდან თავდასხნილი მძლავრი შემოქმედებითი პოტენციალით არის დამუხტული და მისთვის აღარ არსებობს დაუძლეველი წინააღმდეგობა. ამიტომაც, რომ სწორედ ამ დროს აღწევს შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, დაზგური და მონუმენტური ფერწერა, ოქრომჭედლობა, ქანდაკება, პროფესიული მუსიკა-მანამდე (და შემდეგაც) მიუწვდომელ სიმაღლეებს რომელიც დღესაც გაცეცხას და აღტაცებას იწვევს. ამავე ეპოქაში იქმნება ქართული ლიტერატურის - მხატვრული პოეზიისა და პროზის შდევრები, რომელთა გვირგვინია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მაღალ დონეს აღწევს იტორიოგრაფია; იქმნება საისტორიო თხზულებათა კოდექსი „ქართლის ცხოვრება“. საქართველოში ორი უმაღლესი სასწავლებელი - იყალთოს და გელათის აკადემიები მოქმედებდა, სადაც ჰყვარდა მეცნიერება - თეოლოგია, ფილოსოფია, მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა. შემონახულია სათანადო ტრადიციები.

მეათე საუკუნის ბოლოს წვრილ-წვრილი დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანების შედეგად შეიქმნა საქართველოს ერთიანი მძლავრი მონარქია, რომელმაც სულ ცოტა ხანში ბიზანტიის იმპერიასაც კი გაუწია სამხედრო დაპირისპირება. XII საუკუნეში საქართველოს სამეფო წინააზიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა და მისი ტერიტორია მთელ კავკასიას მოიცავდა, რაც აისახა საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა და მოვაკანელთა, შაჰან-შა და შირვან-შა“.

ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია დავით IV აღმაშენებლის უნუკალური მონეტა, რომელზეც დავითი მოხსენიებულია - აფხაზთა, ქართველთა, რანთა და სომეხთა მეფედ.

ერთიანი საქართველოს მეფეების - დემეტრე I, დავით I V, გიორგი III, თამარის, გიორგი IV ლაშას და რუსუდანის მონეტებზე შედარებით მოკლე ქართული ზედწერილების პარალელურად ვრცელი არაბული (ხანდახან სპარსული) წარწერებია ამოტვიფრული. როგორც ჩანს, ამ ხერხს საქართველოს ხელისუფლება იმ მიზნით მიმართავდა, რომ ქართული ფული უფრო იოლად გასულიყო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომლებთანაც საქართველოს ოდითგანვე მჭიდრო სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებდა და სადაც ძირითადი საურთიერთობო ენა არაბული იყო. ამ ზედწერილებში საქართველოს ხელისუფალნი მეფეთა მეფედ და მესიის მახვილად და დედო-

ფალთა დედოფლად და მესიის თაყვანისმცემლად მოიხსენიებენ. სანიმუშოდ მოვიტანთ თამარის 1187 წელს მოჭრილი მონეტის ლეგენდის თარგმანს: „დედოფალი დიდებული, მშვენიერა ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი. განადიდოს ღმერთმა ძლევანი მისნი, განადიდოს ღმერთმა დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღობამისი.“

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, ერთი შეხედვით უცნაური გარემოება, რომ საქართველოს სამეფოს ამ ოქროს ხანაში, დემეტრედან გიორგი ლაშამდე ჩათვლით, ფული მხოლოდ სპილენძისა იჭრებოდა, თუმცა, თი მონეტებზე ამოტვიფრულ ქართულ და არაბულ წარწერებს დაუფჯერებთ, ისინივერცხლის ფული, ღირჰმებია. ამდენად ცხადია, ეს მონეტები საკრედიტო ფული იყო, რომელიც იძულებითი კურსით იბრუნებოდა.

საქართველოს მეზობელ ისლამურ ქვეყნებშიც და შუა აზიაშიც იმ დროს ასევე მხოლოდ სპილენძის ფული იჭრებოდა. ვერცხლის ემისია საყოველთად შეწყვეტილი იყო.

„ვერცხლის კრიზისის“ - ასე უწოდებენ ამ პერიოდს სპეციალურ ლიტერატურაში - აიხსნა იმით, თითქოს ამ დროს ... მიზეზის გამო გამოიღია ან ძლიერ შემცირდა ვერცხლის მარაგი აღმოსავლეთში, კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან სწორედ ამ დროსაა ვერცხლის უამრავი ჭურჭელი და ჯვარ-ხატები საქართველოში და არც წერილობით წყაროებში იგრძნობა თვალ-მარგალიტისა და ოქრო-ვერცხლის ნაკლებობა, გავიხსენოთ, თუნდაც „ვეფხისტყაოსანის“ შესაბამისი პასაჟები.

ფული შოთა რუსთაველს მრავალგზის აქვს მოხსენიებული „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ არა „ფულის“ სახით, არამედ როგორც ისინი ძველად იქოდებოდნენ. იგი ფულის აღმნიშვნელად ხმარობს იმ ლითონის სახელქოდებებს, რომლებიც სანაც იჭრებოდა ფული: ოქრო, ვერცხლი, რვალი, სპილენძი. უფრო შირად ფულის აღმნიშვნელად ხმარობს ოქროს. მაგალითად, ნურადინ ფრიდონისკენ მიმავალი ტარიელი და ავთანდილი გზაში იყიდიან ცხენს, რაშიც გადაიხდიან ოქროს:

„მუნ, ვაჭარმან, ოქროს ფასად ცხენი მისცა, არა უძღვნა“ (1360).

აქ ოქროთი აღნიშნულია ფული. გარდა ოქროსა „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარია აგრეთვე ტერმინები: „წითელი“, „მადრიბული“, „ვერცხლი“, „რვალი“ (სულხან-საბას განმარტებით რვალი არის სპილენძისა და თუთიის შენარევი ლითონი, რომლისგანაც იჭრებოდა ფული). აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყნის მონეტების სახელწოდებანი: მაგალითად, ოქროს ფულის აღსანიშნავად იყენებდნენ - „დრაჰკანი“, „პერპერა“, „დრაჰმა“, „ხატაური“.

ფულის გაგებით რუსთაველი ხმარობს „ვერცხლსაც“. საქართველოში დავით აღმაშენე-

ბლამდე იჭრებოდა ვერცხლის ფული. დავით აღმაშენებლის რეფორმებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის მიერ ჩატარებულ ფულის რეფორმას, როგორც ნუმისმატიკურს, ისე საკუთრივ ფულის და ფინანსურის მხრივ. დავით აღმაშენებელმა შეცვალა მონეტის არა მარტო ეროვნული სახე, არამედ მისი შინაარსიც - ვერცხლის მაგიერ სპილენძს დააწერა, რომ ის მიიღება, როგორც თეთრი.

ვერცხლის ნაცვლად სპილენძიდან გამოჭედეს ფული გიორგი III-მ, თამარ მეფემ, ლაშა გიორგიმ და ნაწილობრივ, რუსუდანმაც. ამგვარად, შოთა რუსთაველის ეპოქაში ქართული ვერცხლის ფული არ იჭრებოდა, მაგრამ ბრუნვაში იგი მაინც იყო - ნაწილი ძველად მოჭრილი და ნაწილი უცხოური.

ფულის ლითონებს შორის შოთა უპირატესობას ანიჭებს ოქროს. მას ხშირად, როგორც ავღნიშნეთ, ფულის აღმნიშვნელად ხმარობს და ოქროს სხვადასხვა ფასეულობათა შორის თვლის მყარად. ავთანდილისა და თინათინის ქორწილზე უხვად გაცემული დასახელებისას შოთა რუსთაველი წერს:

„გაბედით და წასადლებად ატლასი და ოქრო მყარი“ (1939).

მართალია, შოთა რუსთაველი ღირებულების პრობლემას არ იცნობდა, მარამ სხვადასხვა ფასეულობათა შორის ემპირიულად იცნობდა ოქროს სიმყარეს, მის სიმტკიცეს, მის უცვლელობას ფასთა მოძრაობაში [1. გვ., 124-125].

შოთა რუსთაველს აქვს მოცემული ოქროს, როგორც ფულის, ყველა დამახასიათებელი ფუნქცია ემპირიული გაკების გათვალისწინებით. ფულის როგორც ღირებულების საზომის ფუნქციის შემეცნებას აბრკოლებდა ფეოდალიზმის პირობებში საერთო ბაზრის შექმნისულობა და ადგილობრივი ხასიათი. მიმოსვლა გაძნელებული იყო, რაც რასაკვირველია ხელს უშლიდა ფულის, როგორც ღირებულების საზომის ფუნქციის განვითარებას.

შოთა რუსთაველს ფული მოხსენებული აქვს მიმოქცევის საშუალების ფუნქციაშიც. ფული იმოქცევის საშუალების ფუნქციას ასრულებს, რამდენადაც შუამავლობს საქონელმიმოქცევას.

შოთა რუსთაველს ფული მოხსენებული აქვს მიმოქცევის საშუალების ფუნქციაშიც. ფული მიმოცევის საშუალების ფუნქციას ასრულებს, რამდენადაც შუამავლობს საქონელმიმოქცევას.

„ტურფანი სეფედ გარდახსნა, ფასიცა დაათვლევინა“ (1067)

აქ ფული ასრულებს მიმოქცევის ფუნქციას. საქონლის ადგილს იჭერს ნაღდი ფული.

შუა საუკუნეების ფულად მიმოქცევაში წონით მასშტაბის სახელწოდება გამოხატავდა ფულის მასშტაბის სახელწოდებასაც. შემდგომში ლითონის წონის სახელწოდება დაშორდა მის თავდაპირველ წონით რაოდენობას. ამ დაშორე-

ბაში დიდი როლი ითამაშა მონეტების „შერყვნამ“.

შოთა რუსთაველს ფული წარმოდგენილი აქვს გადახდის ფუნქციის სახითაც. ავთანდილი ვეზირს ავალებს, მეფეს თხოვოს ავთანდილის გაშვება ტარიელის დასახმარებლად. საზღაურად მას დიდი თანხის გადახდას პირდება:

„მიაჯე ამოდ გაშვება და თავი გაიმაგრეო, ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო“ (732_{3,4})

„ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილია ფულის განძად დაგროვების ფუნქციაც. გაცვლითი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად იზრდება ფულის საზოგადოებრივი ძალაც. იგი ყველაფრის ბატონი გახდა, ამიტომ იზრდება ოქროს მოხვეჭის წყურვილი. შოთა რუსთაველს ეს ასე აქვს გამოთქმული:

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი“ (709)

შოთა რუსთაველს ფული გადმოცემული აქვს მსოფლიო ფულის ფუნქციაშიც. ადრეულ შუა საუკუნეებში საგარეო ვაჭრობა სჭარბობდა საშინაო ვაჭრობას. ამიტომ ძვირფასი ლითონი უპირატესად მოემსახურებოდა საერთაშორისო გაცვლას. შუა საუკუნეების მეორე ნახევრიდან, საშინაო ბაზრის განვითარებასთან ერთად, ძვირფასი ლითონების მეტი წილი მოემსახურებოდა საშინაო ბაზარს.

შუა საუკუნეებში, მსხვილი საქალაქო ცენტრების შექმნის შედეგად, ფულმა მსოფლიო ფულის ფუნქცია შეიძინა. ამ ცენტრებში თავი მოიყარა ძვირფასი ლითონებით ვაჭრობამ და ისინი საერთაშორისო ანგარიშსწორების ცენტრებად იქცნენ. ასეთები იყვნენ ვეროვის ქვეყნებიდან: ვენეცია, ფლორენცია, ანტვერპენი, ამსტერდამი. ამ ცენტრებში ხდებოდა მონეტებით, ოქროთი და ვერცხლით ვაჭრობა. აქ პლაკატებზე ნავენები იყო უცხოური მონეტების კურსი; აქ ხდებოდა ოქროსა და ვერცხლის მუდამ ცვალებადი საბაზრო ურთიერთობების განსაზღვრა. ლითონური მიმოქცევის სარეზერვო ფონდს წარმოადგენდა ის ძვირფასი ლითონები, რომლებიც გროვდებოდა დახურდავების მთავარ ცენტრებში. ამ ფონდებში წარმოებდა დიდძალი ოქრო-ვერცხლის მოქცევა და მიქცევა, სწორდებოდა რომელიმე სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ დაშვებული დარღვევები.

ფული მსოფლიო ფუნქციას ასრულებს ოქროს სახით. როდესაც ავთანდილი უცხოეთში გასამგზავრებლად მოემზადა, მან „წელთა ოქრო შემოიტყა“ (168₂); ვაჭრობა უცხოქვეყანაში ხდებოდა ოქროთი და ცხადია, სასყიდელი ოქროთი განისაზღვრებოდა. (2. გვ. 126-128)

სრულიად უეჭველია, რომ სპილენძის ემისიაზე შემოთადნისწეული საყოველთაო გადასვლა იყო შედეგი წინა და შუა სახელმწიფოთა უზენაეს ხელისუფალთა დონეზე მიღწეული საერთაშორისო შეთანხმებისა, რომლის მიზანი ჩვენთვის ჯერჯერობით ბუნდოვანია: ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: საკრედიტო ფულის

ხანგრძლივი არსებობა მიმოქცევაში ისე, რომ არ დაინგრეს ეკონომიკა, უცილობლად გულისხმობს საზოგადოების მხრივ ხელისუფლების ნდობის მაღალ დონეს (საქართველოს ეკონომიკა ხომ არ დანგრეულა, არამედ, პირიქით, განსაკუთრებულ აყვავებას განიცდიდა იმ დროს.) და მეორეც: ერთი მხრივ, სპილენძის ფული და, მეორე მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობის ინტენსივობის ის მაღალი დონე, რაც გაცხადებულია XII საუკუნის საქართველოს და წინა აზიის არქეოლოგიაში გულისხმობს საერთაშორისო საბანკო-საფინანსო კავშირების შესაბამისად მაღალ დონესაც, თორემ ნამდვილად წარმოუდგენელია, რომ ვაჭრებს ქვეყნიდან ქვეყანაში აქლემებით ეზიდათ სპილენძის ფულით სავსე საპალნეები.

საყურადღებოა, რომ სწორედ „ვერცხლის კრიზისით“ მოქცეულ ქვეყნებზე გადიოდა ის დიდი აბრეშუმის გზა, რომელმაც ბოლო ხანს ასეთი აქტუალურობა შეიძინა და რომელიც იმ დროს განსაკუთრებით ინტენსიურად მოქმედებდა, რაც ვიფიქროთ შეუძლებელი იქნებოდა სათანადო სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების გარეშე.

XIII საუკუნის 20-იან წლებში მონღოლების შემოსევამ დაარღვია შუა და წინააზიაში არსებული პოლიტიკური წონასწორობა და „ვერცხლის კრიზისიც“ დასრულდა. ამის მაუწყებელი იყო საქართველოში საუკუნეზე მეტი წყვეტილის შემდეგ ვერცხლის ფული მოჭრა, რაც 1230 წელს განახორციელა რუსუდანმა (1222-1245). ამ დროს უნდა დამკვიდრებულიყო სპილენძის ძველი („შავი“) ღირებულებისაგან ვერცხლის დრამის განსახსნავებლად ქართული ტერმინი „თეთრი“, რომელიც საქართველოში საერთოდ ფულის აღმნიშვნელ ერთ-ერთ ტერმინად იქცა. თანამედროვე ქართულ ხურდა ფულსაც ამიტომ ეწოდა „თეთრი“.

XIX საუკუნის დასაწყისში ჯერ ქართლ-კახეთის სამეფო, შემდეგ კი დანარჩენი საქართველო რუსეთის იმპერიის შიდადგენლობაში მოექცა. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად, ცხადია შეწყდა უკანასკნელი ქართული ფულის, მაღალი ხარისხის (98%) ვერცხლის ე.წ. სირმა აბაზის ემისია, რომელიც პოპულარობით სარგებლობდა მთელ კავკასიაში. მაგრამ ქვეყანას ფული სჭირდებოდა, რუსეთიდან ლითონის ფულის შემოზიდვა კი არ იყო იოლი დიდი მანძილისა და კავკასიის ომის გამო (ქაღალდის ასიგნაციებმა კავკასიაში ფეხი ვერ მოიკიდეს). ამიტომ რუსეთის ხელისუფლებამ 1804 წელს თბილისში აღადგინა ზარაფხანა, რომელიც 1834 წლამდე მოქმედებდა და ერეკლე მეფის დროინდელი სირმა აბაზის სისტემით უშვებდა რუსულ ფულზე უფრო მაღალი სინჯის ვერცხლის სამ ნომინალს - ორ აბაზიანს, აბაზიანს და ნახევარ აბაზიანს, და სპილენძის სამ ნომინალს. მონეტების ქართული ზედწერილები - ავერსზე - „ტფილისი“, რევერსზე კი - „ქართული თეთრი“ (ვერცხლის ფულზე) და „ქართული ფული“ (სპილენძზე), აგრეთვე ნომინალისა და მოჭრის

თარიღის აღმნიშვნელი ასო - ნიშნები. მხოლოდ ვერცხლის მონეტაზე, ქვედა კიდესთან იჯდა ორი რუსული ასო - ზარაფხანის ინიციალები.

რუსულ-წართული მონეტები, ერეკლე მეფის დროინდელ სირმა აბაზთან ერთად, XIX საუკუნის სამოციან წლებამდე დარჩა მიმოქცევაში, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს უკვე ფართოდ იყო გავრცელებული რუსული ფული. საქართველოში ბოლოს ბრუნვაში მკვიდრად მოიკიდა ფეხი ქაღალდის საკრედიტო ბილეთებმაც, რომლებიც შეუზღუდავად იცვლებოდა ოქროზე.

თბილისის მუზეუმში, ერთადერთი მუზეუმი, სადაც სისტემატიურად გამოფენილია 1917 წლის რევოლუციის შედეგად, 1918-1921 წლებში გამოშვებული ამიერკავკასიის კომისარიატისა და დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები, აგრეთვე საქართველოს და ამიერკავკასიის ფედერაციის ბონები, გამოშვებული საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ, 1921-1924 წლებში.

1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. 1993 წლის 5 აპრილიდან მიმოქცევაში იყო საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონები 1995 წლის 2 ოქტომბრამდე.

1995 წლის 2 ოქტომბერს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ერთიან კანონიერ სავადასახადო საშუალებად გამოცხადდა ახალი ქართული ეროვნული ვალუტა „ლარი“. მიმოქცევაში შევიდა - 1,2,5,10,20,50 და 100 ლარის ღირებულების საბანკო ბილეთები. სიტყვა „ლარი“, რომელიც შეირჩა ქართული ეროვნული ვალუტის ძირითადი ერთეულის სახელწოდებად, ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს, ზოგადად განძს, ქონებას; ხოლო „თეთრი“, რომელიც ლარის მეასედ ნაწილს ეწოდება, ასევე ძველი XIII საუკუნიდან დამკვიდრებული ქართული სამონეტო ტერმინია.

1999 წელს, სრულყოფის თვალსაზრისით, მოდიფიცირებულ იქნა 1995 წლის ემისიის ყველა ნომინალის ბანკნოტები, ხოლო 2002 წელს 1999 წლის ემისიის მხოლოდ 1,2,5 და 20 ლარის ღირებულების ბანკნოტები, ხოლო 2004 წელს 50 და 100 ლარის ღირებულების ბანკნოტები. 2016 წელს მოხდა ასევე 20, 50 და 100 ლარის ღირებულებების ბანკნოტები.

ყველა ნომინალის ბანკნოტის ავერსზე წარმოდგენილია ქართული წარწერები: „საქართველო“, „საქართველოს ეროვნული ბანკი“, ნომინალის დასახელება, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და ფინანსთა მინისტრის ხელმოწერები, თარიღი და შეიღებულავიანი ბორჯდალოს გამოსახულება, ხოლო რევერსზე - ინგლისურენოვანი წარწერები: „GEORGIA“ და ნომინალის დასახელება.

ქართული ფულის ემისია და განახლება თანამედროვე ეკონომიკის განვითარების თანამდევნი და შეუქცევადი პროცესია.

ლიტერატურა

1. ჩანტლაძე ვ., ფულის, კრედიტისა და ფინანსების ისტორია. თბ., სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1986-1987, I-II-III ნაკვეთი;
2. ჩანტლაძე ვ. ფულის, კრედიტისა და ფინანსების ისტორია. ლექციების კურსი ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. თბ., სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1986;
3. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ. საქართველოს ეკონომიკურ სამინისტროსთან არსებული ეკონომიკისა და სოციალური პრობლემების ინსტიტუტი. ს/ინტი, 1999, ნაწ. 2;
4. პაპავა ვლ. საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე. თბ., „მეცნიერება“, 1995;
5. ფული საქართველოში. ი. მანაგაძის რედაქტ. - თბ., საქართველოს ეროვნული ბანკი, 2001;
6. ჯავახიშვილი ნ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები (1919-1921) - თბ., საქართველოს ეროვნული ბანკი, 1998;
7. [http://www.nbg.gov.ge/nbg-ntw-geo/about the bank/qartuli poli.htm](http://www.nbg.gov.ge/nbg-ntw-geo/about%20the%20bank/qartuli%20poli.htm)

REFERENCES

1. Chantladze f. Money, credit and financial history. - Tb. Fine. University Press, 1986-1987, I-II-III area
2. Tchitanava m. Socio-economic problems of the transitional period. - Tb. Ministry of Economy of the economic and social problems instituti.s / Inti, 1999, Part. 2
3. The analyst vl.sakartvelo market economy on the road. - Tb. "Science", 1995
4. Money in Georgia. I. Managadze Edit. - Tb. National Bank of Georgia, 2001.
5. N. Javakhishvili. Bonebi of the Democratic Republic (1919-1921) - Tb. National Bank of Georgia, 1998.

საინვესტიციო პოლიტიკა და პროექტებზე მოქმედი რისკ-ფაქტორები

INVESTMENT POLICY AND RISK FACTORS MAKING INFLUNCE AT PROJECTS

სულხან დევაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის დოქტორანტი

SULKHAN DEVADZE

Batumi Shota Rustaveli State University
Faculty of Economy and Business
Student of Doctoral Studies

ანოტაცია

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელი გახდა ყველა დარგის გადახალისება. განსაკუთრებით ამ პრობლემამ თავი იჩინა სამრეწველო სექტორში, რომელიც მოითხოვს სრულ გადაიარაღებას, ახალი სისტემის ჩამოყალიბებას და განვითარებას.

ამ პირობებში საინვესტიციო პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა შემოსავალსა და რისკის დონეს შორის ურთიერთკავშირის კონცეფციამ, რომლის არსიც მდგომარეობს ამ ორ ეკონომიურ კატეგორიას შორის პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაში.

ინვესტიციები უზრუნველყოფს კვლავწარმოების უწყვეტობას. ხელს უწყობს საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობს წარმოების მოცულობის ზრდასა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების პროცესში. ეკონომიკური კრიზისის პირობებში ინვესტიციები წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარებაში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციების ძირითადი ეტაპების კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს ამ პროცესის სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე და საპროგნოზო ეტაპებზე მაკროეკონომიკური პარამეტრების დაგეგმვა ემყარება ორ მთავარ ფაქტორს, რომელთაგან ერთ-ერთია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა. ეს პროცესი უნდა ეყრდნობოდეს ფისკალური პოლიტიკის შესაბამის ცვლილებებს, სტრუქტურულ და ინსტიტუციურ რეფორმებს, რათა ეკონომიკის დროებითი გამოცოცხლების საფუძველზე, საფინანსო-საბანკო სისტემის მონაწილეობით, უზრუნველყოს გრძელვადიანი ზრდა. რაც უმთავრესია საინვესტიციო პოლიტიკაში ეს არის როგორც საინვესტიციო გარემო იქნება ქვეყანაში.

თუ საქართველოში შესაძლებელი გახდება საინვესტიციო პროექტების ბაზრის შექმნა, მაშინ მოცემულ ბაზარზე ოპერაციების განხორციელება ინვესტორებისათვის საინტერესო იქნება იმ შემთხვევაში, თუ ამ ბაზარზე განხორციელებული დაბანდების საშუალო შემოსავლიანობა გადააჭარბებს სხვა ბაზრების შემოსავლიანობას,

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციები, საინვესტიციო პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, საინვესტიციო მენეჯმენტი, საინვესტიციო პროექტი, საინვესტიციო რისკები, საინვესტიციო პროცესი.

Abstract

In the terms of market economy it appeared inevitable to renovate all the fields. This problem is mostly vivid in industrial sector which requires full transformation, creation of a new system and development.

In investment policy the special place has concept about mutual communication between incomes and risk level which implies direct proportional dependence between those two categories.

Investments provides continuation of product manufacturing, it supports carrying manufacturing, innovative and social projects, it plays role in increasing production volume and efficacy of further public production. In the terms of economic crisis investments are the most important possibility for transformation of socio and industrial potential and subordination of it under the market.

The classification of basic stages of investments in market economy terms gives the possibility to determine state regulation directions of this whole process.

It is worth mentioning that planning macro-economic parameters at recent and forecasting stages are based on two basic factors one of which is increasing foreign investments. This process should be based on appropriate

changes of fiscal policy, structural and institutional reforms in order to provide long-term growth with the help of financial-banking system at the basis of temporary revival of economy. Investment environment in a certain country this is what is principally important in investment policy.

If it is possible to create investment project market in Georgia it will be interesting for investors in case if average incomes from these investments will exceed incomes of the other markets.

Keywords: investments, investment policy, investment environment, investment management, investment projects, investment risks, investment process.

შესავალი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელი გახდა ყველა დარგის გადახალისება. განსაკუთრებით ამ პრობლემამ თავი იჩინა სამრეწველო სექტორში, რომელიც მოითხოვს სრულ გადაიარაღებას, ახალი სისტემის ჩამოყალიბებას და განვითარებას.

ყოველივე ამის უზრუნველსაყოფად აუცილებელია არსებული თუ მოზიდული ინვესტიციები, რომელთა საშუალებითაც უფრო სრულყოფილად გადაწყდება შექმნილი პრობლემა.

საერთოდ თავისუფალი ფულადი სახსრების მქონე მეწარმე დაინტერესებულია ფულის მოცულობის გადიდებით, ამისათვის მან ფული მომგებიან საქმეში უნდა დააბანდოს და საქმის წარმატებით წარმართვის შედეგად ნამატი თანხა მიიღოს. ამ მიზნის წარმატებით გადასაწყვეტად მას უნდა ჰქონდეს საინვესტიციო ობიექტზე სრულყოფილი წარმოდგენა და შეეძლოს თავისი რესურსების მასთან ოპტიმალური მისადაგება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ობიექტის მოდელის ცოდნის პირობებში, რომლის მეშვეობითაც ინვესტორი შეიძლება კაპიტალის დაბანდობის სხვადასხვა სიტუაციების გათამაშებას, მოსალოდნელი პრობლემების წინასწარ წარმოჩენას, მოგების თუ სხვა მისთვის არსებითი პარამეტრების ოპტიმალურ დაგეგმვას.

კვლევის აქტუალობა. კვლევის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ დღესდღეობით ინვესტორი არსებული რთული საინვესტიციო გარემოს არც თუ ისე სახარბიელო საკანონმდებლო ბაზის, დაბალი მსყიდველობითუნარიანი მომხმარებლის და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ინვესტიციების ჩადების გადაწყვეტილების მიღებას ან ვერ ახერხებს ან მაღალი რისკით აწარმოებს. მას არა აქვს მეცნიერულად სათანადო დასაბუთებული მეთოდიკა, საინვესტიციო პროექტის ოპტიმალური გათვლისათვის, მიუხედავად ეკონომიკური მეცნიერების ამ მიმართულებით განვითარებისა, მაინც არსებული მეთოდიკები და მიდგომები ფრაგმენტულია, არასრულყოფილი და ხედაპირულია. ინვესტიციის საპროგნოზო ეფექტურობის გათვლის მარტივი მიდგომები ინვესტორს დიდი რისკის ქვეშ აყენებს. ხშირად საინვესტიციო პროგრამის განხორციელების დროს წარმოიშობა წინასწარ გაუთვლელი სირთულეები

და პრობლემები, რომელთა მოგვარება ინვესტორს კორუფციული თუ პროტექციონისტული გზებით უხდება.

სტატიის კვლევის მიზანია შემუშავებული იქნას გარკვეული წინაპირობები საინვესტიციო პროცესების ოპტიმიზაციის მეთოდიკის შექმნისათვის, რომლის საშუალებითაც ინვესტორი უფრო გააზრებულად იმოქმედებს, როგორც საინვესტიციო პროგრამის განხორციელების წინა საპროექტო სტადიაზე, ასევე საინვესტიციო პროცესის მიმდინარეობისას.

ჩვენს მიზანს ასევე წარმოადგენს მენეჯმენტის პროცესის ავტომატიზირება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, რის საშუალებითაც ინვესტორს შეეძლება ოპტიმალურად დაგეგმოს, აკონტროლოს და მართოს საინვესტიციო პროექტი პირველადი გადაწყვეტილების მიღებიდან განხორციელებული საინვესტიციო პროექტის ექსპლუატაციამდე, ისე, რომ ყოველ კონკრეტულ ეტაპზე მას შეეძლება უშუალოდ თავად მართოს საინვესტიციო პროექტი,

კვლევის მეთოდები. კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები. სტატიის კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვით განხორციელებული პროექტების მართვის საკითხებისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების შრომები.

ნაშრომის დამუშავების პროცესში გამოყენებულია კვლევის დიალექტიკური მატერიალიზმის, ისტორიული, ლოგიკური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი.

თანამედროვე საინვესტიციო თეორიაში დამატებით კრიტერიუმებად განიხილება საინვესტიციო პროექტის შესაძლებლობები (ოპციონები), რომლებიც აზუსტებენ პროექტის მომგებიანობას. წინასწარი თეორიული გათვლებით კონკრეტული საინვესტიციო პროექტი შეიძლება გარკვეულ მომგებიანობას იძლეოდეს, მაგრამ პროექტის განხორციელების რეალურმა პირობებმა შეიძლება გაზარდოს პროექტის მომგებიანობა (მაგალითად, საინვესტიციო სექტორში მონოპოლიურმა მდგომარეობამ, ან ახლად წარმოშობილმა სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ, ან ხელსაყრელმა საგარეო-პოლიტიკურმა ვითარებამ, ან მოსალოდნელმა საგადასახადო შედეგებმა და ა. შ.).

იმისათვის, რომ ნებისმიერმა საწარმომ ნორმალურად და ხარისხიანად იმუშაოს, საჭიროა გარკვეული ინვესტიციის - ფულადი სახსრის ჩადება, რასაკვირველია, თუ ეს თანხა ადგილობრივი ინვესტორის მიერ იქნება გაღებული, მეტად სასარგებლო იქნება ქვეყნისათვის. ნებისმიერი ინვესტიციის დროს პირველ რიგში უნდა შესწავლილი იქნას ბაზრის სეგმენტი და მერე მოხდეს ინვესტორის მიერ თანხის ჩადება.

ინვესტიციები უზრუნველყოფს კვლავწარმოების უწყვეტობას. ხელს უწყობს საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობს წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების პროცესში. ეკონომიკური კრიზისის პირობებში ინვესტიციები წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარებაში [2].

საწარმოს მართვის საერთო სისტემასთან ინტეგრირება ხელს უწყობს ინვესტირების მიმართულუბებისა და ფორმირების სწორედ შერჩევას, საინვესტიციო პროექტების ოპტიმალურად დაფინანსებას და საერთოდ ინვესტირების ეფექტიანობას. საინვესტიციო მენეჯმენტი მთავარი მიზნის რეალიზაციის პროცესში წყვეტს შემდეგ ამოცანებს [4].

- ეფექტიანი საინვესტიციო გზით ქმნის საწარმოს ეკონომიკური განვითარების მაღალ ტემპს. საინვესტიციო საქმიანობით რეალიზდება საწარმოს გრძელვადიანი მიზნები; - საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსავლების მაქსიმიზაციის უზრუნველყოფა ხდება საბოლოო ჯამში მომგებიანი ინვესტიციის შერჩევის შედეგად;
- უზრუნველყოფს საინვესტიციო რისკების მინიმიზაციას. ამ დროს აუცილებელია განისაზღვროს საინვესტიციო რისკები და მასთან დაკავშირებული ფინანსური დანაკარგები;
- ფირმის ფინანსური მდგრადობის და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების პროცესში არსებითია საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება, მას თან უნდა ახლდეს ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის ანალიზი.

საინვესტიციო პროგრამების სწრაფი რეალიზაცია ხელს უწყობს ბაზრის კონიუქტურის შეცვლას და საინვესტიციო რისკების შემცირებას [5]. საინვესტიციო მენეჯმენტი იყოფა ფუნქციონალურ ჯგუფებად. ეს ჯგუფებია:

1. საინვესტიციო მენეჯმენტის, როგორც მმართველობითი სისტემის ფუნქციები;
2. საინვესტიციო მენეჯმენტის, როგორც საწარმოს მართვის სპეციალური სფეროს ფუნქციები. პირველი ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოებს:

აოებს:

- საწარმოს საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავება გულისხმობს საინვესტიციო საქმიანობის მიზნებსა და მიზნობრივი მაჩვენებლების სისტემის გრძელვადიანი პერიოდისათვის ჩამოყალიბებას;
- საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის ყველა ასპექტის მიხედვით მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღებისა და რეალიზაციის უზრუნველყოფი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა.

საინვესტიციო პოლიტიკა მუშავდება რეგიონალურ, დარგობრივ და სამეურნეო სუბიექტების დონეზე. ისინი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ მათ რეალიზაციაზე უპირველეს გავლენას ახდენს სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს და შექმნას საინვესტიციო გარემო, რომელიც დაიცავს ინვესტორს.

საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკა არის საწარმოს ფინანსური სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მდგომარეობს საწარმოო პოტენციალის გაფართოებასა და განახლების უფრო რაციონალური გზების შერჩევასა და რეალიზაციაში.

საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი პრინციპები:

- ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური ეფექტების მიღწევა;
- უფრო მეტი მოგების მიღება ჩადებულ კაპიტალზე მინიმალური საინვესტიციო დანახარჯების პირობებში;
- სახსრების რაციონალური განკარგვა;
- საწარმოს მიერ სახელმწიფო მხარდაჭერის გამოყენება ინვესტიციების ეფექტიანობის გადიდებისათვის;
- სუბსიდიებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და კერძო უცხოური ინვესტორების შეღავათიანი კრედიტების მოზიდვა;
- კონკრეტული პროექტების რეალიზაციასთან დაკავშირებული საინვესტიციო რისკების მინიმიზაციის უზრუნველყოფა;
- ინვესტიციების ლიკვიდურობის უზრუნველყოფა.

საწარმოს საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაციისათვის რესურსების მოთხოვნილება განისაზღვრება მისი სამეცნიერო და საწარმოო პოტენციალით, რომელიც აუცილებელია ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად პროდუქციის გამოსაშვებად.

ინვესტიციის შედეგად წინასწარი მიზნების მიღწევის განსაზღვრას უზრუნველყოფს საინვესტიციო პროექტი.

ზოგადად საინვესტიციო პროექტების დამუშავების პროცესი შედგება წინა საინვესტიციო, საინვესტიციო და საექსპლუატაციო ეტაპებისა-

გან.

საინვესტიციო პროექტის წარმატებით რეალიზაციისათვის ფინანსური ასპექტების გარდა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მენეჯმენტის დონე, ასევე ქვედა რგოლებში მონაწილე კადრების კვალიფიკაცია. ინვესტორმა მუდმივად უნდა ახორციელოს მონიტორინგი საინვესტიციო სამუშაოებზე. ის არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მოეშვას და ბოლომდე მიენდოს თუნდაც კარგ დაქირავებულ მენეჯერებს. კარგი ინვესტორი აწარმოებს საინვესტიციო პროექტის განხორციელების მიმდინარე ეკონომიკურ ანალიზს, არ ელოდება ეტაპის დასრულებას და დინამიკაში აღევნებს ტექნიკურ-ეკონომიურ პარამეტრებს.

იმისათვის, რომ სწორად და საღად წარიმართოს საინვესტიციო პროცესი, ჩვენი აზრით, ერთ ერთი მთავარი პირობაა სწორი საინვესტიციო პოლიტიკის არსებობა. ამ მიზნით კანონმდებლობაში გათვალისწინებულ უნდა იქნას საინვესტიციო კაპიტალის გადასახადებიდან გათავისუფლება გარკვეული დროით, ინვესტიციის დაცვა, რეინვესტიციის(ინვესტირებით მიღებული მოგების ისევ საქმეში უკან ჩადება) წახალისება და ა. შ.

ინვესტიციების განხორციელებისას ყველაზე დიდი შემაფერხებელი პრობლემა, კორუფციასთან ერთად, არის ბიუროკრატია, რაც სერიოზულ ბარიერს უქმნის ყოველ ინვესტორს.

საქართველოს საინვესტიციო გარემოს ნაკლოვანებას წარმოადგენს ასევე ე.წ. დამატებითი ხარჯების მაღალი დონე, მხედველობაში გვაქვს: კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, ელექტროენერჯის შეფერხებით მიწოდება და აქედან გამომდინარე, მეწარმეების დამატებითი ხარჯების ზრდა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

უცხოელი მეწარმეები ერთხმად აცხადებენ, რომ ყველაზე მეტ პრობლემებს ისინი საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობისას აწყდებიან. არანაკლებ მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ქვეყნის არასრულყოფილი საბანკო სისტემაც. იგულისხმება, სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები და ბანკების მიერ, ძირითადად, მოკლე ვადიანი კრედიტების გაცემა. საინვესტიციო გარემოზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა.

საქართველოში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, რაც კიდევ უფრო ართულებს ვითარებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ არსებული სიდინელების გამო მრავალი საინვესტიციო კომპანია იკავებს თავს საქართველოში ინვესტიციების დაბანდებაზე.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა წარმოადგენს. საინვესტიციო პოლიტიკის საშუ-

ალებით შესაძლებელია წარმოების მოცულობის, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცესის დინამიკაზე ზემოქმედება. საერთოდ საინვესტიციო პოლიტიკა გამომდინარეობს მაკრო და მიკრო ეკონომიკური ინვესტირების შერწყმაში. ამიტომ საინვესტიციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრინციპი იქმნება ყველა ეკონომიკური ბერკეტით - სახელმწიფო შეკვეთებით, საკრედიტო, საგადასახადო, საამორტიზაციო და სხვა მარეგულირებელი ინსტრუმენტებით სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო საქმიანობისათვის მიზანშეწონილი ეკონომიკური გარემოს შექმნით.

სტაბილური საინვესტიციო გარემო ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის საწინდარია. საქართველოს საინვესტიციო კანონმდებლობა იხვეწება და ორიენტირებულია მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნაზე. სახელმწიფოს ამოცანაა შეიმუშაოს მწყობრი, პერსპექტივაზე გათვლილი, დაბალანსებული სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა და შექმნას მისი რეალიზაციისათვის საჭირო სამართლებრივი, ეკონომიკური და ადმინისტრაციული მექანიზმები.

საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის ყველა ქმედებას - ბიზნესიდეის გაჩენიდან პროექტის საექსპლუატაციო ფაზის დადგომამდე - საფუძვლად უდევს აუცილებელი გადაწყვეტილებების ერთობლიობის შემუშავება და მიღება. აღნიშნული გადაწყვეტილების ერთობლიობა შედგება ურთიერთ დამოუკიდებელი (ერთ-ერთის დამუშავება და მიღება არ ეწინააღმდეგება მეორის მიღებას და არ არის მასთან კავშირში), ურთიერთ დამოკიდებული (გადაწყვეტილებები უზრუნველყოფენ ერთმანეთის რეალიზაციას) და ურთიერთგამომრიცხავი (გადაწყვეტილებები არ შეიძლება მიღებულ იქნას ერთდროულად და აუცილებელია ავირჩიოთ ერთ-ერთი) გადაწყვეტილებებისაგან.

რისკები, რომლებიც საინვესტიციო პროექტების რეალიზაციასთანაა დაკავშირებული, არ არსებობენ თავისთავად, კონკრეტული ქმედებისაგან დამოუკიდებლად.

ხშირად ინვესტიციებს განასხვავებენ რისკის მიხედვით. რისკის დროს ინვესტორისათვის ინვესტიციებით მიღებული მოგების შეფარდებითი სიდიდე მოსალოდნელ მოგებაზე ნაკლები შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომაც როცა საუბარია საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებაზე, აქტუალური ხდება რისკ - ფაქტორების განაწილების საკითხები. ინვესტიციების ჩადების მოსალოდნელი შედეგების შეფასებისას გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, როგორცაა:

- „წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდი, რომლითაც განისაზღვრება მომავალში მოსალოდნელი შემოსავლების დღევანდელი ღირებულება;
- „უკუგების საპროცენტო განაკვეთი, როდესაც პროექტზე გაწეული დანახარჯები ამ პრო-

ექტის განხორციელების შემდეგ მისაღები შედეგების მიხედვით დგინდება;

- ინვესტიციის „ამოღების“ მეთოდი, რომლის დროსაც განისაზღვრება ინვესტიციაზე გაწეული დანახარჯების ამოღება;
- რისკის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც დგანან ინვესტორის წინაშე კაპიტალდაბანდები სგანხორციელებამდე, შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:
 - ეკონომიკური რისკი - რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაში მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად და ალბათობა იმისა, თუ რამდენად მოახდენს ეს ცვლილებები გავლენას ინვესტიციის მოსალოდნელ უკუგებაზე.
 - ტრანსფერის რისკი - როგორია კაპიტალის გატანის შესაძლებლობა ქვეყნის გარეთ.
 - ინფლაციის რისკი - ინფლაციის არსებული და საპროგნოზო მაჩვენებლები განსაზღვრავს გადახდისუნარიანი მოთხოვნის არსებობას და გასაღების ბაზრების ფუნქციონირებას.
 - ადგილმდებარეობის რისკი - იმ უარყოფითი შედეგების ერთობლიობა, რომელთაც შეიძლება თავი იჩინონ რეგიონში;
 - სუვერენული რისკი - ძირითადად უკავშირდება საგარეო ვალდებულების მომსახურებას და იმის საშიშროებას, რომ მთავრობა ვერ გაისტუმრებს სახელმწიფო ვალდებულებას.
 - პოლიტიკური რისკი - დაკავშირებული ქვეყნის შიგნით მოსალოდნელ სამოქალაქო არასტაბილურობასთან.

თუ საქართველოში შესაძლებელი გახდება საინვესტიციო პროექტების ბაზრის შექმნა, მაშინ მოცემულ ბაზარზე ოპერაციების განხორციელება ინვესტორებისათვის საინტერესო იქნება იმ შემთხვევაში, თუ ამ ბაზარზე განხორციელებული დაბანდებების საშუალო შემოსავლიანობა გადააჭარბებს სხვა ბაზრების შემოსავლიანობას [1].

ფაქტობრივად, საინვესტიციო პროექტის რეალიზაციისას შეგვიძლია დავაკვირდეთ იმ სხვადასხვა გარიგებების ერთობლიობას, რომელიც სრულდება როგორც სხვადასხვა მონაწილეს ან ინვესტორს შორის, ასევე მონაწილეებსა და ინვესტორებს შორის. ყოველი ასეთი გარიგება, რომელიც გარკვეული პირობითაა დადებული, მხა-

რებს აკისრებს შესაბამის ვალდებულებებს.

ცხადია, რომ იმ გარიგებებს, რომლებიც სრულდება ობიექტურად არსებული რისკების სისტემის ჩარჩოებში, პირობის კონკრეტული ხასიათისა და გამოყენებულ ვალდებულებებზე დამოკიდებულებით, შეუძლიათ როგორც გააძლიერონ, ისე შეასუსტონ სხვადასხვა ხდომილების ახდენის შესაძლებლობა, ე. ი. გაზარდონ ან შეამცირონ გარიგების მონაწილეთა რისკი.

იმისათვის რომ საქართველოში საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის და დაფინანსების პროცესში მოხდეს რისკების შემცირება, საჭიროა მათი დაზღვევა. საქართველოს სადაზღვევო კომპანიებმა აუცილებლად უნდა მონახონ საშუალება რაც შეიძლება ხარისხიანად გადაჭრან ზემოთ აღნიშნული პრობლემა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს უცხოელი ინვესტორების მოზიდვას საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში.

დასკვნები

- სასურველია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე შეიქმნას ინვესტირების მართვის ავტომატიზირებული სისტემა, რომელიც ინტერაქტიულ რეჟიმში საშუალებას აძლევს ინვესტორს მარტივად დაადგინოს მისთვის საინტერესო ობიექტის საინვესტიციო მიმზიდველობა, მიიღოს გადაწყვეტილება ინვესტირებაზე, შეადგინოს დაფინანსების ოპტიმალური გეგმა, დინამიკაში წარმართოს ფინანსური ნაკადები, ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების მომენტიდან დანახარჯების სრულად ამოღების მომენტამდე აწარმოოს კაპიტალის ოპტიმალურად რეინვესტირების დაგეგმარება და დაბანდება. საინვესტიციო პროცესის მიმდინარეობის კვალობაზე აკუმულირებული ინფორმაციული ბაზის საფუძველზე ინვესტორს საშუალება ეძლევა ოპტიმალურად დააკორექტიროს საინვესტიციო სტრატეგია;
- ინვესტირებით დაინტერესებული ბიზნესმენისათვის შესაძლებელია შემუშავდეს საინვესტიციო პროექტის შედგენის მეთოდოლოგია და საინვესტიციო პროცესის მართვის სამუშაო-პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც მათ დაეხმარება დარგში არსებული საინვესტიციო სირთულეების დაძლევაში.

ლიტერატურა

1. ნ.სამსონია, მ.ლომსაძე, მ.თოფურია. საინვესტიციო პროექტის დაგეგმვის მეთოდოლოგიური ასპექტები. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი ლენერგია, 2(50), ნაწ. 2, 2009.
2. რ. მახვილაძე, კ. მახვილაძე, ჯ. ჩოგოვაძე და სხვ. ინვესტიციების თეორია და ანალიზი. რედ.: გ. ლალუნდარიძე, დ. პაპავა. სტუ, თბილისი, 2005, სტუ-ს სტამბა.
3. კიკნაძე ნ. ინვესტიციების მართვა სამეწარმეო ინოვაციურ პროცესებში, 2008 წ.
4. ე.ბარათაშვილი, რ.ქუთათელაძე, ლ.გვაჯაია, გ.ყურაშვილი; „საინვესტიციო მენეჯმენტი, თბ.2011წ.
5. ქოქიაური ლ., ინვესტიციების ბაზარი, თეორია, პოლიტიკა, პრაქტიკა, თბ., 2001.

THE THEORY AND PRACTICE OF MAN'S DOMINATION
IN ECONOMY

ТЕОРИЯ И ПРАКТИКА МУЖСКОГО ГОСПОДСТВА В ЭКОНОМИКЕ

ლიდია ზლოტნიკოვა

სამომხმარებლო კოოპერაციის ბელორუსის
საეკონომიკური
უნივერსიტეტი, ბელორუსი, ქ. გომელი

ZLOTNIKOVA LIDIYA

Cand.Econ.Sci., associate professor. Belaru-
sian trade and economic university of consum-
er cooperation, Republic of Belarus, Gomel

ЗЛОТНИКОВА ЛИДИЯ

к.э.н. доцент, Белорусский торгово-
экономический университет
потребительской кооперации,
Республика Беларусь, г. Гомель

ოლგა რუდენკო

ეროვნული უნივერსიტეტის „ოსტროჟსკის
აკადემიის მართვის გლობალური
სტრატეგიების ინსტიტუტი, უკრაინა, კიევი

RUDENKO OLHA

Doctor of Public Administration, Associate Pro-
fessor, Director of SRI of Public Administration
and Management, Professor of the Department of
Management of Chernihiv National University of
Technology (Ukraine)

РУДЕНКО ОЛЬГА

Институт глобальных стратегий управления
Национального университета «Острожская
академия», Украина, г. Киев

Abstract

The summary Relevance of the appeal to a problem of man's domination in economy is caused by decrease in its efficiency, need of search of new sources of development.

During reforming of society socialization of the person, having received the status of service, I have worsened an economic situation of women. There are unresolved problems of the theory of the latent capital, determination of its value. Still economic science does not pay due attention to forming of a social capital in a family. Still economic science doesn't pay a due attention to forming of a social capital in a family. Costs for education of the new person, forming of bases of moral, social and economic conduct are theoretically not proved, are practically recognized the personal record of a family. In incomplete families most often the woman bears material, moral and social responsibility.

Keywords: socialization, man's domination, latent capital, inequality, values, household, family, woman.

ანოტაცია

ეკონომიკაში მამაკაცის დომინანტობის თემის აქტუალობას განაპირობებს მისი ეფექტურობის შემცირების პრობლემა, განვითარების ახალი წყაროების მოძიების აუცილებლობა.

საზოგადოების რეფორმირების პირობებში ადამიანის სოციალიზაციამ მიიღო მომსახურების სტატუსი, გააუარესა ქალბატონების ეკონომიკური მდგომარეობა. გადაუწყვეტელი რჩება დაფარული კაპიტალის თეორიის პრობლემები, მისი ღირებულების შეფასება. ეკონომიკური მეცნიერებები კვლავინდებურად არ უთმობს შესაბამის ყურადღებას ოჯახში სოციალური კაპიტალის ფორმირების საკითხს. ახალი ადამიანის აღზრდის ხარჯები, ზნეობრივი, სოციალური და ეკონომიკური ქცევის საფუძვლები თეორიულად არ არის დასაბუთებული და პრაქტიკულად ითვლება ოჯახის პირად საქმედ. არასრულ ოჯახებში ძირითადად ქალბატონებს ეკისრებათ მატერიალური, მორალური და სოციალური პასუხისმგებლობა.

საკვანძო სიტყვები: სოციალიზაცია, დაფარული კაპიტალი, მამაკაცის დომინანტობა, ფასეულობები, უთანაბრობა, საოჯახო მეურნეობა, ოჯახი, ქალბატონი.

Обращение к гендерной проблематике в контексте экономического развития обусловлено многими проблемами современного общества. В нашем понимании гендер, прежде всего, характеризует социальные роли мужчин и женщин. По вопросам экономического, политического, социального и даже морально-нравственного неравенства мужчин и женщин написано много статей и монографий. Сложно оценить их информационное и научное содержание. Основное внимание мы хотели бы обратить на теоретическое обоснование мужской экономики и практические механизмы ее господства.

Экономическая наука начала формироваться на этапе разрушения индивидуального производства и формирования массового. Быстрые радикальные изменения в организации производственной деятельности повлекли за собой закономерное обоснование основных источников и механизмов ее эффективности, выраженной в получении выгоды. Не вдаваясь в глубокий анализ развития экономической мысли, обратив основное внимание на теоретические положения классической экономической науки. Ее родоначальником принято считать А. Смита. Огромный, даже по нынешним меркам монографический труд «Исследование о природе и причинах богатства народов» - это первый образец методологического обоснования мужской экономики. Важнейшей отличительной компонентой мужского господства в общественном производстве и государстве является отсутствие слова «женщина». Бесспорно, что любая теория предполагает использование высокого уровня абстракции. В естествознании, которое изучает процессы в неживой природе, отрешенность от реальных условий оправдана. Построение абстрактных моделей физических, химических процессов позволяет глубже проникнуть в суть процесса или явления. Материальное производство, его цели задачи, в реальной жизни сложно отделить от семьи, домашнего хозяйства, воспроизводства человека и т.д. Однако основное внимание А. Смит обращает на рыночные механизмы решения всех экономических проблем. Главными из них ученый назвал личный эгоизм и невидимую руку. В современной интерпретации невидимая рука отождествляется с конкуренцией, а личный эгоизм со стремлением достижения единоличного господства. Первое и второе предполагает борьбу и обязательную победу. Необходимо отметить, что признанный экономист А. Смит не анализирует методы конкуренции. Главное – это победа всех и вся, соответственно, цель оправдывает средства. Классическая экономическая теория лишена социальности, основным предметом интереса, как правило, выступают экономические законы, структуры, ресурсы, факторы, материальные, финансовые ценности, владение собственностью

и т.д. С морально-нравственной точки зрения **безработица** – это сложное социальное и экономическое явление. В экономической теории А. Смита **безработица** – **добровольный выбор человека**. **Благосостояние представляет собой одну из форм физической или умственной силы**, которую человек использует для производства нового материального блага. «Всякий человек должен получать доход из источника, принадлежащего ему лично, должен получать либо от своего труда, либо своего капитала, либо земли».[6, с.53] **Маскулинность экономических отношений А. Смит подтверждает конкретизацией источника дохода. Во времена его творчества женщина была лишена прав на все виды собственности, в том числе и результаты собственного труда.**

Деятельность в домашнем хозяйстве вплоть до XX в. не была предметом экономической науки. Результаты труда в соответствии с экономической теорией признаются и оцениваются только в том случае, если товар продается. Женский труд создает блага для семейного потребления, никогда не выходит на рынок, в соответствии с теорией полезности не имеет цены. Рождение и воспитание детей в экономической теории получило определение воспроизводство рабочей силы. Впервые роль женщины в решении проблем воспроизводства оказалась в поле зрения Т. Мальтуса. В работе «Опыт о законе народонаселения» ученый написал: «Извращение нравов, доведенное до такой степени, что оно препятствует рождению детей, унижает человеческую природу и оскорбляет ее достоинство. Производит такое действие на мужчину и извращает характер женщины, искажая самые привлекательные свойства ее природы. К этому необходимо прибавить, что из всех несчастных созданий, быть может, ни одно не подвергается таким бедствиям и не впадает в такую крайнюю нищету, как те несчастные жертвы проституции, которыми изобилуют большие города». [3] Возражающие оппоненты обязательно обратят внимание на отсутствие в приведенных словах экономических аспектов. Данное положение сложно оспорить. Человек, признанный фактором производства, рождается благодаря женщине. К самым бедным, образно говоря нищим, по оценке ученого относятся женщины, занимающиеся проституцией. Сложно провести анализ экономического положения современных жриц любви. Теоретическая обоснованность продажи тела в настоящее время получило юридическое разрешение на практике. Рекламный бизнес – это узаконенная торговля телом. Периодические возникают дискуссии, в основу которых положены требования экономической легализации проституции. Ее сторонники обосновывают свою позицию необходимостью получения дополнительных